ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა საქართველოს მილიციის 50 წლისთავი



„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал **ЦК КП** Грузии.



ციალა კვირიკაშვილი (შუაში).

11602
26

# ციალა კვირიკაშვილის ოჯახი

რეპორტაჟი

როცა შეუღლდნენ, ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. არაფერი გააჩნდათ — არც ბინა, არც საწოლი, არც ნივთები. ჰქონდათ მხოლოდ სიყვარული და მომავლის იმედი. ქალი თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში წინდების საქსოვ დაზგაზე მუშაობდა, ვაჟი — საამქროს ქვეოსტატი იყო.

ერთი პატარა ოთახი იქირავეს ფაბრიკის შორიახლოს, რკინის საწოლით, ხის მაგიდით და ორი სკამით.

...ციალა კვირიკაშვილი და სერგო ჯავახოვი ფაბრიკაში გაეცნენ ერთმანეთს და მალე იპოვეს საერთო. ციალას გამზრდელი სიღნაღის საბავშვო სახლი იყო. დედით ადრე დაობლდა და როცა მამა ფრონტზე წავიდა, ნათესავებმა მისი აღზრდა ვერ იკისრეს. სერგოც უდედოდ გაიზარდა, აკლდა მზრუნველი ხელი, შემატკივარი გული და კეთილი რჩევა. მაგრამ თანდაყოლილი კეთილშობილება, პატიოსანი შრომის სურვილი და გულმოდგინება გახდა მათი მომავალი ცხოვრების საწინდარი.

გავიდა ოცი წელი. ფაბრიკა, სადაც ისინი მუშაობდნენ, გაფართოვდა და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატად იქცა. ციალა დაოსტატდა, 23 წლის მანძილზე დიდი გამოცდილება შეიძინა. ახლა იგი თავს დასტრიალებს 4 დაზგას, № 600 ძაფით ორ დაზგაზე წინდის ქსოვილს ამზადებს, ორ დაზგაზე — საგვირისტეს. მკერდს ლენინის ორდენი უმშვენებს. ოთხდაზგოსანი მუშა 125 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმებს, იგი ორჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. იყო საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობაში, უსმენდა პარტიისა და მთავრობის მეთაურებს ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განვითარების გეგმებსა და ამოცანებზე.

სერგომ ქვეოსტატობის გარდა სხვა პროფესიაც შეიძინა, ჯერ სამხედრო სამსახური მოიხადა, მერე ელექტროსაქმე შეისწავლა და ამჟამად ფაბრიკის ელექტრომონტიორია.

მათ სამი შვილი ეზრდებათ. უფროსი ქალიშვილი ნუნუ 19 წლისაა, დედ-მამის კვალობაზე, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი მათსავე კომბინატში მივიდა. ნუნუს სწავლის გაგრძელების დიდი სურვილი აქვს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე შესასვლელად ემზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტისადმი სიყვარული შუათანა შვილს ჯემალს მამისაგან გამოჰყვა. მამამისი თბილისის 35-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა და კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა. ჯემალი ივანე შუდრას აღზრდილია, სათავეში უდგას ქალაქის განათლების განყოფილების ახალგაზრდობის გუნდს და მე-11 ნომრით გამოდის მოედანზე. ჯემალი კარგად სწავლობს, გაკვეთილების შემდეგ კვირაში სამჯერ სპორტმეცადინეობაზე დადის, ზაფხულობით კი ბაკურიანში მიემგზავრება სპორტულ შეკრებებზე.

ყველაზე პატარაა დათო, მაგრამ ისიც სკოლის მოსწავლეა, თამაშს უკლო და სამყაროს წიგნებით ეცნობა.

დღეს ახალგაზრდა მუშის ოჯახი ისეთი ღონიერი, ისეთი ჯანმრთელი და ბედნიერია, რომ ყველას მის ჭერქვეშ მიუხარია.

ერთმანეთისადმი სიყვარული და პატივისცემა, მეგობრული დამოკიდებულება დიდისა პატარისადმი, ურთიერთ დახმარების, საოჯახო შრომის განაწილების სურვილი თავისთავად დამკვიდრდა ამ ოჯახში.

მაღალი გემოვნება, კულტურა, სიფაქიზე და უაღრესი სისუფთავე იგრძნობა მათ სახლში. კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა ციალამ და სერგომ მეშვიდე ხუთწლედში მიიღეს. მერე თავიანთი შრომითი დანაზოგით გაარემონტეს. ოქროს ხელები აქვს სერგოს. ყველა კუთხე-კუნჭული თვითონ გაალამაზა. სამზარეულო და სათავსოები მოხერხებულად მოაწყო.

მერვე ხუთწლედში მათ ახალი ავეჯი შეიძინეს. სადა, მოხერხებული და ლამაზია ყველაფერი ბინაში. მთავარი კი ის არის, რომ, რასაც თვალს შეავლებთ, ალალი, პატიოსანი შრომით არის შეძენილი. ოჯახის საერთო შემოსავალს ემატება პრემიები, რომელსაც ხშირად იღებს ცოლ-ქმარი. ასეთ პირობებში კარგ დიასახლისს შეუძლია გადაინახოს თანხა ჩაცმა-დახურვისათვის, ავეჯისათვის, შრომის შესამსუბუქებელი მოწყობილობისათვის.

კარგ დიასახლისად მაშინ ითვლება ქალი, როცა ოჯახის გონივრულ მართვასთან ერთად თავის პატარებსაც აჩვევს შრომას. ციალას შვილებს არ უჭირთ არც თავის მოვლა და არც ოჯახური საქმიანობა. როცა ციალა პარტიის 24-ე ყრილობას ესწრებოდა მოსკოვში, მისი არყოფნა არ დასტყობია სახლს.

ამაში, ალბათ, ყველაზე მეტი დამსახურება სერგოს მიუძღვის. მას შეუძლია ბევრ რამეში დაეხმაროს ცოლს და როცა შინ არ არის, მისი მაგივრობაც გაუწიოს შვილებს. მშრომელმა კაცმა ყველაფერში ჩააქსოვა ოჯახისადმი სიყვარული. აყვავებული ხეხილის ბაღი და ბოსტანი აქვთ გლდანში, გაზაფხულიდან შემოდგომამდე ყოველნაირი ხილი ხარობს. კვირაში ორი გამოსასვლელი დღე ამისათვის აქვთ შემონახული.

საღამოობით ოჯახის წევრები ერთად დადიან კინო-თეატრებში, უსხედან ტელევიზორს, კითხულობენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს... ზაფხულს კიდევ უფრო ხალისიანი დღეები მოაქვს, ქალაქიდან ერთად მიდიან დასასვენებლად ზღვაზე.

წლები წლებს მისდევს. გაივლის კიდევ მრავალი წელი. მშობლების მაგალითზე შვილებიც, ალბათ, კეთილსინდისიერად, ალალი შრომით იცხოვრებენ, ალბათ, ისინიც საკუთარ ოჯახებს შექმნიან, ბედნიერ ოჯახებს... გაივლის კიდევ წლები. ამ წლებს ახალი ხუთწლედები მოჰყვება, მაგრამ დღესდღეობით ციალა კვირიკაშვილის ოჯახი მეცხრე ხუთწლედით სუნთქავს. ეს ჩვეულებრივი ოჯახია, როგორიც ბევრია ჩვენს ქვეყანაში, ჩვეულებრივი მუშის ოჯახი, სადაც შრომა სიამაყედ ქცეულა, სადაც წაშლილია ზღვარი მუშასა და ინტელიგენტს შორის, სადაც განათლება და კულტურაა შესული და დამკვიდრებული.

ხუთწლედი დიდ ამოცანებს უსახავს ჩვენს ქვეყანას, ოჯახი კი სახელმწიფოს პატარა უჯრედია, ამიტომ მასაც აქვს თავისი მიზნები, ამოცანები, ფიქრები.

ეს მიზნები გასჩენიათ ციალას, სერგოს, ნუნუს, ჯემალს, პატარა დათოს.

ციალამ კარგად იცის, რომ მეცხრე ხუთწლედში განხორციელდება მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ტექნიკური აღჭურვა ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის, აგრეთვე წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე, ფართოდ დაინერგება დიდი წარმადობის უთითისტარო სართავი მანქანები, უმაქოო საქსოვი დაზგები, კომპლექსური ავტომატიზებული ხაზები ბამბეულის, შალეულისა და ტრიკოტაჟის მრეწველობისათვის, უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესები ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის გამოსაყვანად.

ციალა განსაკუთრებული გულისყურით ისმენდა ამ საკითხებზე საუბარს 24-ე ყრილობაზე, მერე დარბაზში ქალაქ კოსტრომის ლენინის სახელობის სელის კომბინატის სახელგანთქმულ მქსოველს, სოციალისტური შრომის გმირს ვალენტინა პლეტნევას შეხვდა და თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა.

ყრილობიდან დაბრუნებული, მოუთმენლად ელის ახალ საქსოვ დაზგებს თავის საამქროში, ელის სამღებრო საამქროს გაფართოებასაც, რათა 1975 წელს ქსოვილების წარმოება ჩვენს ქვეყანაში 10,5-11 მილიარდ კვადრატულ მეტრამდე გაიზარდოს.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშებს მალე ექნებათ ახალი კეთილმოწყობილი სასადილო, მუშა ქალთა შრომის შესამსუბუქებლად ახალ ხუთწლედში ბევრი საყურადღებო ღონისძიება განხორციელდება.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი, განსაკუთრებით წარმოებაში. გადიდდება ნახევარფაბრიკატების, კონცენტრატების, კულინარული და სხვა ნაწარმის გამოშვება, გაუმჯობესდება მათი ხარისხი იმ ვარაუდით, რომ არსებითად შემცირდეს დროის ხარჯვა საჭმლის შინ მომზადებაზე. განვითარდება საყოფაცხოვრებო მომსახურება როგორც მსხვილი მექანიზებული დარგი და მისი მოცულობა სულ ცოტა ერთიორად გაიზრდება.







ოჯახს ბევრი სანუკვარი ოცნება აქვს. ნუნუ, ალბათ, მალე სტუდენტი გახდება; უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სტიპენდიების გაზრდა. კიდევ უფრო იმატებს ოჯახის საერთო შემოსავალი. ამ ხუთწლედში აუსრულდებათ კიდევ ერთი ნატვრაც — შეიძენენ მსუბუქ ავტომანქანას.

ლია კაკაბაძე

# ასე სახელოვნად შრომობს...



ვენახში. უკანა პლანზეა ჟუჟუნა ჯანიბეგაშვილი.

სოფელ შრომაში მოჟამული დილა გათენდა, გიორგი დანელიშვილის ოჯახში დიდი გლოვა იყო. მას ახალგაზრდა, გამრჯე მეუღლე ხელიდან გამოეცალა. ორი მცირეწლოვანი ბავშვი უდედოდ დარჩა. მაშინ ჟუჟუნა ორწლინახევრისა იყო, ძმა კი — ოთხისა. ორი შვილის მოვლა-პატრონობა მძიმე ტვირთად დააწვა გიორგის, გლეხკაცს, რომელსაც ისედაც წელში წყვეტდა მძიმე შრომა. მაინც არ შეუშინდა ვაჟკაცი ამ სიძნელეებს და ჭაპანს სიყვარულით წევდა. მალე სამამულო ომი გამოცხადდა და გიორგი თავის თანამემამულეებთან ერთად სამშობლოს დასაცავად წავიდა. ომის ქარცეცხლმა შთანთქა იგი და უპატრონოდ დარჩენილი და-ძმა დაიქსაქსნენ — ჟუჟუნა ქლუხორის უპატრონო ბავშვთა სახლში მოხვდა, ხოლო ძმა უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გავიდა წლები. 15 წლის ჟუჟუნამ თბილისის ძაფსახვევ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ერთი წლის დაძაბული შრომის შემდეგ შვებულება აიღო და ოცნებადქცეულ მშობლიურ სოფელში წავიდა. იქ მამიდა ეგულებოდა. იქნებ, დაკარგული ძმის კვალსაც მიეგნოო.

გაუმართლდა გოგონას იმედი — საყვარელი ძმაც იპოვა და მშობლიური კერაც აღადგინა. მალე ტრაქტორისტ დავით ჯანიბეგაშვილს მითხოვდა და გურჯაანის რაიონიდან ახმეტის რაიონში, სოფელ მატანში გადასახლდა...

— ახლა მატანი ჩემი უსაყვარლესი სოფელია, გლეხი კაცის შრომით აღორძინებული. — ამბობს ჟუჟუნა ჯანიბეგაშვილი.

მართლაც ლამაზი სოფელია მატანი. იგი ცივ-გომბორის მთისა და თეთრწვერა კავკასიონის ქედის შუა მოთავსებულ ტაფობშია გაშენებული. ხშირი, ხასხასა ზურმუხტი ტყე დაჰყურებს მატნელების ხელისგულივით გადაშლილ თვალუწვდენ ზვრებს, ლარივით ჩამწკრივებულ ვაზებს. ბარაქიანი მოსავლის მისაღებად, დოვლათის გასამრავლებლად მატნელებს არც მოუსვენარი და მჩქეფარე მდინარე ილტო აკლებს თავის მადლს. სოფელს ამშვენებს ორსართულიანი ლამაზი სახლები და შესანიშნავად მოვლილი ბაღ-ბოსტნები.

აქ, მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში შევხვდით გარუჯულ, პირმღიმარე, სასიამოვნო გარეგნობის ჯერ სრულიად ახალგაზრდა ქალს ჟუჟუნა ჯანიბეგაშვილს, მას ხელში თოხი ეჭირა და მკლავდაკაპიწებული მუშაობდა. საინტერესო იყო მასთან საუბარი.

ჟუჟუნა თავისი ოჯახის დიდი ბურჯია. ჰყავს სამი შვილი. უფროსმა ვაჟმა 8 კლასი დაამთავრა და მამის კვალს გაჰყვა, ტრაქტორისტობა ირჩია. გოგონები საშუალო სკოლაში სწავლობენ წარჩინებით, ზაფხულობით კი მეურნეობაში დედასთან ერთად ბეჯითად შრომობენ.

ჟუჟუნა მთელი მეურნეობის კოლექტივს თავდადებული შრომის მაგალითს აძლევს, ყველა ცდილობს მას მიბაძოს. უვლის ერთ ჰექტარ ვენახს და ვენახიდან სამი კილომეტრით დაშორებულ ერთ ჰექტარ სიმინდის ნაკვეთს. ორივეს თავის დროზე ამუშავებს: თოხნის, რწყავს, სასუქი შეაქვს, ტაროს ტეხს, ჩალას კონავს, ვენახს სხლავს, ვაზს ყელავს, კრეფს და... გეგმებსაც დიდი გადაჭარბებით ასრულებს. გეგმით 2,5 ტონა ყურძენი უნდა მოკრიფოს, კრეფს 8,7 ტონას. ამიტომ არის რომ ყოველწლიურად იღებს პრემიებს.

ჟუჟუნა აბრეშუმის ჭიასაც უვლის. თვითონ კრეფს ფურცელს და სახელმწიფოსაც ყველაზე მეტ და მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკს აბარებს.

ჟუჟუნამ პატიოსანი შრომით და კარგი ქალობით თანასოფლელთა დიდი პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ იგი სამი წელი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი, რვა წელი კი რაიონული საბჭოს დეპუტატი იყო. 1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ჟუჟუნა განუწყვეტლივ ზრუნავდა რაიონის წინსვლისათვის, მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. განსაკუთრებით ილწვოდა სოფლის კეთილმოწყობისათვის.

ჟუჟუნამ მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა შინმოუსვლელთა ხეივნის გაშენების საკითხი. მეურნეობის დირექტორისა და პარტიული კომიტეტის მხარდაჭერით საკითხი დადებითად გადაწყდა: დაიწყო ხეივნის გაშენება.

შარშან ჟუჟუნა ამომრჩევლებს შეხვდა და ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებსა და უახლოეს ამოცანებზე ესაუბრა. ამომრჩევლებმა მოსთხოვეს ეზრუნა სოფელში კულტსახლის აშენებისათვის, წყლით მომარაგებისა და ცენტრალური გზების ელექტროგანათებისათვის. ჟუჟუნამ ეს საკითხები ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე დააყენა. დღეს მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახსრებით უკვე მიმდინარეობს ზემოაღნიშნული სამუშაოები.

ასე თავდადებულად და სახელოვნად შრომობს ჟუჟუნა ჯანიბეგაშვილი.

თამარ ღვინიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი ჭეიშვილი

# ნაბიჯი

მოთხრობა

მაგდა ფანჯარასთან დგას და ტირის. ფანჯრიდან, ცისფრად შეღებილი ფინური სახლების იქით, მკრთალად განათებული სანაპირო პარკი მოჩანს. თორმეტ საათს კარგა ხანია გადასცდა და პარკი, დღისით სავსე მზის სხივებით და მხიარულებით, უკაცრიელია და წყნარი.

მაგდას ღაპა-ღუპით ჩამოსდის ცრემლები და ყველაფერი, რასაც იგი ახლა ხედავს: სახლები, პარკში მდგარი მაღალი ფიჭვები და თვითმფრინავებიანი კარუსელი წყალში ჩაშვებულ საგანივით ტყდება, ტორტმანებს და ირღვევა.

ორ საათზე ავადმყოფს კარდიამინი უნდა გაუკეთოს და ამიტომ არ წვება მაგდა. სამი ღამის უძილოს ეშინია, არ ჩასთვლიმოს, დრო არ გამოეპაროს; დგას რაფაზე მიყრდნობილი და სტირის ჩუმად, უხმოდ, თავშეკავებისაგან კისრის ძარღვები ებერება, ზოგჯერ კი ქვითინი აუვარდება და შემკრთალი მეორე ოთახისაკენ იხედება ბაგეზე ხელებაფარებული.

## თამაში

მე უკვე აქა ვარ, მაგდა. ერთი საათიც და შენთან ვიქნები! — თამაზს ძარღვებში თბილმა, სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა და წამოწითლდა. მატარებლის უკანასკნელი ვაგონიც ხრიგინით გასცდა პატარა სადგურის ბაქანს. თამაზმა ჩემოდანი აიღო, ლიანდაგი გადასჭრა და მოასფალტებული გზისაკენ მარტო გაემართა. ის სამი მგზავრი, ორი ქალი და ერთი მამაკაცი, აქაურები იყვნენ და მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე გაეცალნენ სადგურს.

დამსვენებელთა დაბამდე რამდენიმე კილომეტრი იყო და თამაზს ფეხით უნდა ევლო, რადგან იქით მიმავალი მანქანები თბილისიდან წამოსულ მხოლოდ მეორე მატარებელს ხვდებოდნენ, რომელიც ორი საათის შემდეგ მოდიოდა. ჯერ ექვსიც არ იყო, ისევ ბნელოდა.

თამაზი მიდიოდა სწრაფად და მსუბუქად, თავისუფლად, ისე, როგორც მოესურვებოდა, ჩემოდანს ხან იღლიაში ამოიდებდა, ხან ზურგზე მოიგდებდა და მიაბიჯებდა შუა ქუჩაში თავაწეული, ამაყი და ხალისით სავსე...

ახლა შენ და ბავშვებს გძინავთ. რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოგდით თუ დღეს ჩამოვალ. კარგია ყოველგვარი მოულოდნელობა, თუ ის სიამოვნებას, სიხარულს განგვაცდევინებს. მაგდა!.. შენ ხომ ზეგ მელოდები. გუშინწინ, ტელეფონით რომ გელაპარაკე, გითხარი: სამ-ოთხ დღეში აუცილებლად ჩამოვალ-მეთქი, მაგრამ ფილმის გადაღება წუხელ დამთავრდა... რომ იცოდე რა დაძაბული და მომქანცველია გადაღება, განსაკუთრებით კი გადაღების ბოლო დღეები, როცა ფიქრობ, რაღაა დარჩენილი, ძირითადი ეპიზოდები გადაღებულია და უკვე განვლილი შრომის შეფასებას იწყებ, კმაყოფილი ხარ, მაგრამ აგერ უცებ, გამოგიხტება ერთი პატარა, თითქოს უმნიშვნელო დეტალი, რომელსაც სათვალავშიაც არ აგდებდი და თავზედს დაგაწყევლინებს. გადაიღებენ ერთხელ და არ გამოდის, შენ სტყუი, ან შენი პარტნიორი, ან განათება არ ვარგოდა, ამ მეტი იყო ან ნაკლები, ან ის, ან ეს, ათასი მიზეზი გამოჩნდება, გადაგიღებენ მეორედ... მეხუთედ... მეათედაც... შინ ქანცგამოლეული მივედი. ვფიქრობდი, კარგად გამოვიძინებდი, დავისვენებდი და დილით, პირველივე რეისის თვითმფრინავს ბათუმამდე გამოვყვებოდი. ბათუმიდან დაბამდე კი რაღაა, საათნახევრის გზა ავტობუსით. ასე მქონდა გადაწყვეტილი. ის იყო დაწოლას ვაპირებდი, რომ ლალიმ დამირეკა, შენ მას არ იცნობ, არცაა საჭირო იცნობდე. კარგი გოგოა, მაგრამ გზააბნეული. ქმართან საერთო ვერ ნახა და არ უყვარს. ხშირად ხდება ასე, როცა აქ საერთოს ვერ პოულობენ, ცდილობენ აქ ეძებონ, სხვაგან, სხვასთან, რომ დაცარიელებული გული შეივსონ, ხალისი, სითბო მოუპოვონ... ლალის ქმარს დიდი ხანია ვიცნობ. თითქმის ყოველდღე მხვდება და ხელის ჩამორთმევით მესალმება. განშორების შემდეგ ყოველთვის სევდა მიპყრობს და გუნება მიფუჭდება ხოლმე. ალბათ ჰგონია, ოჯახი აქვს, ჰყავს ერთგული მეუღლე და წარმოდგენაც არა აქვს, თუ იგი — მისი მეუღლე, ნაცნობ ახალგაზრდა მსახიობს, რომელსაც ყოველდღე ხვდება ქუჩაში, რომანტიკული პათოსით სავსე წერილებს სწერდა, ეფიცებოდა მარადიულ სიყვარულს, ესწრებოდა და ესწრება იმ სპექტაკლებს, რომლებშიც ის მონაწილეობს, ელოდება თეატრის წინ...

— მე ვარ, — მითხრა ყურმილში ლალიმ.

— ვიცი.

— გვიანია, არ მელოდი ხომ?

— არა.

— მინდა, რომ მოვკვდე.

— კარგი ერთი, ნუ ლაპარაკობ.

— უშენოდ აღარ შემიძლია.

— მე ხომ გთხოვე, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ-მეთქი.

— უნდა გავშორდე იმას.

— სისულელეს თავი დაანებე.

— უშენოდაც უნდა გავშორებულიყავი. აუტანელია ეს ყველაფერი... მე ახლა მოვალ, კარგი?

— გაგიჟდი?

— ნუ გეშინია, მოვალ, შეგხედავ და წავალ.

— შიში რა შუაშია, მატარებელზე მაგვიანდება.

— სად მიდიხარ? ცოლ-შვილთან?

— ჰო.

— მოვალ და მერე წადი.

— მე უკვე გავდივარ სახლიდან. აბა, კარგად იყავი, ლალი. გაშორებაზე ფიქრს თავი დაანებე. შოთა კარგი კაცია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვი გყავთ... წავედი. ნახვამდის.

ყურმილი დავკიდე. რა უნდა მექნა? მართლა არ მოვიდეს-მეთქი და რაც ხელში მომყვა, ჩემოდანში ჩავყარე და გარეთ გამოვედი. ისე ვჩქარობდი, მგონი ერთი პერანგის მეტი არც წამომიღია. ეგ კი არა და შენთვის და ბავშვებისათვის, შოკოლადის გარდა, არაფერი მიყიდია. რეზოს და მეგის გაეხარდებათ, შენ კი... შენც გიყვარს შოკოლადი, მუხლებზე დაგიჯენ და ისე გაჭმევ. შენ ხომ ყოველთვის გიხარია, როცა მუხლებზე მიზიხარ და გეფერები. იცი, როგორ მენატრებოდი? შენი ნახვის სურვილი ზოგჯერ ისე ამიფეთქდებოდა, პავილიონში გამართულ დეკორაციებს მოვეფერებოდი და ჩურჩულით გელაპარაკებოდი, რომ სხვებს არ გაეგონათ. მსახიობების პირში ჩემი მტერი ჩავარდა... ხელში აგიტაცებდი და გკოცნიდი სარკესავით კრიალა, გრძელი, ხშირი წამწამებით დაბურულ ცისფერ თვალებში, პატარა, ოდნავ აპრეხილ ცხვირზე, შინდისფრად მოხატულ ტუჩებზე, ყურებზე, აქ კი — შემცივდაო, იტყოდი ჟრუანტელმორეული, მკლავებზე ბუსუსები წამოგეშლებოდა, იცინოდი... ვეფერებოდი შენს სავსე თეძოებსა და გახურებულ მკერდს. მაგრამ ეს ხომ წარმოსახვა იყო, წარმოდგენა, მსახიობები რომ აფექტურ მოქმედებას ვეძახით, წარსული სინამდვილე, უფრო ზუსტად ერთი თვის წინათ განცდილი ნეტარება და სიტკბო. მე კი მინდოდა, ახლაც, ამ წუთშიც ასე ყოფილიყო, მაგრამ... ვნებაა და სხვა არაფერი? სისულელეა! ადამიანებს რატომ უყვართ თავიანთი ბინა, ქალაქი, თავიანთი ქვეყანა, რატომ ვერ ისვენებენ, ვერ ძლებენ უიმისოდ? იმიტომ, რომ შეჩვეული არიან, მასზე ზრუნავენ და, რაც მთავარია, აქ, როგორც არსად, ისე თბილა, ისეთი მზეა. ჩვენ ხომ ამაზე არაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხელ გვისაუბრნია. ძალიან მიყვარხარ, მაგდა! თუმცა, ახლა შენ ამას არ გეტყვი, რადგან მაინც არ დაიჯერებ. არ დაიჯერებ და შენი ურწმუნობა ყველაფერს გააფუჭებს... რა მოგდის, ბოლო დროს როგორღაც შეიცვალე. რატომ, მაგდა? თითქოს რაღაც გაწუხებს, დაძაბული მიყურებ ხოლმე. იმ დღეს კი სტიროდი კიდეც. ეს ახლახან იყო, ამ გაზაფხულზე, პრემიერიდან რომ შინ დავბრუნდით, „სირანო დე ბერჟერაკში" რომ ვითამაშე. კარგად გამომივიდა სირანოს როლი. მახსოვს შენი გაბრწყინებული თვალები, მხურვალე კოცნა და სამიოდე სიტყვა: კარგი ბიჭი ხარ! — მეტი არაფერი გითქვამს, მეტი არც იყო საჭირო... ფოიეში და თეატრის წინ ამხანაგების, ნაცნობების შეხვედრა და მილოცვები... შინ გვიან მივედით. დედაშენს და ბავშვებს ეძინათ. მე აივანზე გაველი სიგარეტის მოსაწევად. შენ საძინებელ ოთახში ლოგინებს შლიდი. სიგარეტი მოვწიე და ოთახში შემოვედი. შენ საწოლზე იჯექი და სტიროდი. ცრემლები ღვარივით ჩამოგდიოდა და ყელზე გესკვნებოდა თოკის მარყუჟივით, თითქოს გიჭერდა... დამინახე და ცრემლები მოიწმინდე, ადექი. რა მოხდა-მეთქი, გკითხე გაკვირვებულმა. შენ კბილის ტკივილი მოიმიზეზე, საშინლად ამტკივდა ახლადაპლომბილი კბილიო. ახლავე ცისანას გავაღვიძებ-მეთქი, გითხარი მეზობელ კბილის ექიმზე. არა, ნუ წახვალ! — შემაჩერე, — „ოქროს ფხვნილს" დავლევ და ხელად გამიყუჩდებაო, თქვი და ოთახიდან გახვედი. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან შემობრუნდი და უკვე გამოცოცხლებული, ცდილობდი, მხიარული ყოფილიყავი.

— დალიე?

— ჰო. თითქმის გამიარა.

— კარგია.

მივხვდი, რომ მომატყუილე, მივხვდი, კბილი კი არა და სულ სხვა რაღაც გტკიოდა, სულ სხვა რაღაც გაწუხებდა და გული მომეწურა. ნუთუ მაგდა, ნუთუ დავიჯერო, რომ ეს იყო შურით გამოწვეული ცრემლები, რომლის გრძნობაც მხოლოდ სულმოკლე, ღვარძლიან ადამიანებს უჩნდებათ? მაგრამ ეს თუ ასეა, მაშ რატომ მეკითხები ყოველთვის, რას ვაკეთებ, როგორ ვაკეთებ? როგორ ჩაიარა რეპეტიციამ? გამოდის როლი? იმიტომ იქცევი ასე, რომ არაფერი შეგამჩნიო? წარმოუდგენელია! მაშ რაშია საქმე? რაღაცით უკმაყოფილო რომ ხარ, ცხადია, მაგრამ რითი? მინდა ვიცოდე, რას ფიქრობ, შენ კი არაფერს მეუბნები... ადამიანები, რაც არ უნდა ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რაღაცას მაინც იტოვებენ თავისთვის, რაღაცას მაინც არ ამჟღავნებენ. ამაში არაბუნებრივი თითქოს არაფერია, მაგრამ მე მაინც მწყდება გული... ნეტა სულ არ მომგონებოდა, რა საჭირო იყო! არა, არა, ყველაფერი სისულელეა!.. აგერ, გამოჩნდა ჩვენი ცისფერი სახლიც, ჩვენი პატარა ფინური სახლი, შორიდან რომ ზღაპრის წიგნებში დახატულ მტრედების ბინას ჰგავს. ირგვლივ სულ ასეთი სახლებია და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყოველ მათგანში მტრედები ცხოვრობენ...

## საუზმის შემდეგ

თამაზი სკამიდან ადგა, მაგდას მოეხვია და აკოცა.

თ ა მ ა ზ ი: დიდი მადლობა; ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო.

მ ა გ დ ა: ერბო-კვერცხი ცოტათი დამეწვა.

თ ა მ ა ზ ი: დიდებული იყო. რაღას ვუყურებთ, წავიდეთ ზღვაზე ბავშვები სად არიან?

მ ა გ დ ა: ეზოში თამაშობენ. რა გვეჩქარება, მოვესწრებით ზღვაში ჩასვლას. მიამბე ყველაფერი, წელან ბავშვების ხმაურში ვერაფერი გავიგე.

თ ა მ ა ზ ი: ძალიან მომენატრეთ შენ, ბავშვები და ზღვა. როგორ გაშავებულხარ, გიხდება!

მ ა გ დ ა: ძალიან?

თამაზმა ისევ აკოცა. მოეხვია. მერე ხელში აიტაცა...

მ ა გ დ ა: რა მოუთმენელი ხარ! ახლა ნუ, რა... ბავშვები არ შემოვიდნენ...

თ ა მ ა ზ ი: ჰო, კარგი, კარგი.

მაგდა ძირს დასვა. სიგარეტს მოუკიდა.

მ ა გ დ ა: კმაყოფილი ხარ გადაღებით? პირველი როლი კინოში, როგორ გრძნობ თავს?

თ ა მ ა ზ ი: შესანიშნავად. წავიდეთ და გზაზე გიამბობ.

მ ა გ დ ა: წავიდეთ.

## მაგდა

მიხარია, ძალიან მიხარია თამაზის წარმატებები, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მაწუხებს, მტანჯავს საკუთარი თავისადმი უკმაყოფილების გრძნობა. და მეშინია, მეშინია და ვთამაშობ ცხოვრებით კმაყოფილი ქალის როლს: ვიღიმები, ვიცინი, ვმხიარულებ, ვმღერივარ. რა ძნელია ეს ყველაფერი! არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე. თამაზს ვუყვარვარ... მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ისიც თამაშობს? არ მაგრძნობინებს, თორემ გულში სხვას ფიქრობს, ფიქრობს, მისი შესაფერი არ არის ქალი, რომელიც ოთხი წელი ზედიზედ აბარებდა გამოცდებს ექიმი რომ გამხდარიყო და ოთხივეჯერ ხელმოცარული გამობრუნდა უკან. მერე აღარც უცდია, რადგან მობეზრდა ეს თამაში, შეზიზღდა და ბედს შეურიგდა. უფრო სწორედ, შენ შეხვდი, შეუყვარდი და თავისი არსებობის გამართლება შენთან ცხოვრებაში უნდოდა ეპოვნა. იპოვა კიდეც... შენმა სითბომ გამახალისა, დამავიწყა წარსულის უსიამოვნო მოგონებები. ვცხოვრობდით ტკბილად. ზრუნვით, ალერსით და სიყვარულით ვავსებდით ერთმანეთს. კმაყოფილი ვიყავი, კმაყოფილი, ვიდრე ძველი ტკივილი არ გამახსენდა... შენ დამავიწყე და შენვე გამახსენე იგი. შენ ხომ, ბოლო ხანებში საოცრად გაიზარდე, დღეს უკვე ყველა გიცნობს, პატივს გცემს... მე კი, მე აბა ვინა ვარ შენს გვერდით? გამოჩენილი მსახიობის ლამაზი ცოლი? თუმცა, რატომ? მყავს ბავშვები, მესამე წელია, კომუნალური მშენებლობის სამინისტროში ვმუშაობ არქივის გამგედ. მაგრამ ეს ხომ ის არ არის, რაც უნდა მეკეთებინა, რისკენაც ასე მივისწრაფოდი? ცხოვრებაში ბევრი რამ გამართლებაზედაცაა დამოკიდებული... ან ვიღაც უნდა გეხმარებოდეს... საშინლად მაქვს გული დამძიმებული... სულ ეჭვით ვუყურებ თამაზს, სულ მეშინია, რაიმე არ მოხდეს, არ დავკარგო... ვხედავ, რომ იგი სულ მაღლა, მაღლა მიიწევს და ერთ მშვენიერ დღეს იმ სიმაღლიდან რომ გადმოიხედოს და აგდებულად მითხრას: ვინა ხარ, შენ! — რა იქნება მაშინ? როგორ არ მინდა, ასე ვფიქრობდე, მაგრამ ვერ ვახერხებ. ეს თითქოს ჩემს უნებურად ხდება, რაღაც შინაგანი ბიძგისა თუ აუცილებლობის გამო. ალბათ ისიც გრძნობს ჩემს აფორიაქებას, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს, ან იმიტომ არ მეკითხება არაფერს, არ უნდა მდგომარეობა გაამწვავოს, უსიამოვნებას ერიდება. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ვაზვიადებ ყველაფერს, არც ასეა საქმე, მაგრამ ეს არის მცირე ხნით, მერე ისევ პატივმოყვარეობის ჩრდილი გონებას მიბნელებს და საკუთარ გულს ვასკდები... კაცმა რომ თქვას, რა გინდა, რას ეძებ? — ბედნიერებას? ის ხომ შენთან არის! საკუთარი დიდება გინდა? ის ხომ უკვე დაიკარგა, ის სპექტაკლი შენთვის მარცხით დამთავრდა. ნუ დაგწყდება გული, იყავი კმაყოფილი იმით, რაც გაქვს, რადგან შენც კარგად იცი, ბევრისათვის შენი მდგომარეობა სანატრელია. სწორედ ეს გაშინებს? შენს თავს თვითონ ამარცხებ. ეს თითქმის იმას ჰგავს, საკუთარ თავზე გაბრაზებული ადამიანი რომ ჯავრს სხვაზე იყრის... ალბათ ნებისყოფა იყო საჭირო, რომ კიდევ ოთხჯერ გავსულიყავი გამოცდებზე, მაგრამ აღარ შემეძლო, აღარ მინდოდა, ისე მეზიზღებოდა მაშინ იქაურობა. რა ბედნიერი ვიქნებოდი, ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს? მაგრამ თამაზს, ახლა ჩემი უმაღლესში შესვლა კი არა, რომ ვმუშაობ ესეც არ სიამოვნებს. ზოგჯერ მზად ვარ კიდეც მივატოვო სამსახური, შინ დავჯდე, მაგრამ აუცილებლობის შეგრძნება — შენდა წილად რაღაც გააკეთო ამ ქვეყნად — არ გაძლევს ამის უფლებას...

გუშინ, სანაპიროზე რომ გავედით, ათასი თავი და ორჯერ მეტი თვალი მაშინვე ჩვენსკენ მოიქცა.

— გამარჯობა, თამაზ!

— როდის ჩამოხვედი?

— თამაზ მდივანია.

— აბა, ვის ჰგავს თუ იცი?

— ვის?

— მარჩელო მასტროიანს. ოღონდ ეს უფრო მაღალია და ქერა.

— ნიჭიერი მსახიობია!

— უდავოდ.

— ახალ ფილმში თამაშობს.

— საინტერესოა. როდის ვნახოთ?

— ფილმი ჯერ არ გამოსულა.

— ის ქალი მისი ცოლია?

— მოგწონს?

მოლოდინისაგან დავიძაბე. ახლა, როგორც არასდროს, ისე მინდოდა, ისე მჭირდებოდა ეთქვათ: კარგი ქალია, შესაფერისები არიან, მაგრამ ვერაფერი გავიგონე. რაღაც ხომ უნდა ეთქვათ, კარგი ან ცუდი? რატომ არაფერი თქვეს? თქვეს, მაგრამ სმენა დამეხშო და ვეღარ გავიგონე?.. ავირიე, ბუნდოვნად ვხედავდი ყველაფერს... ჩემი სამინისტროს თანამშრომლებიც ღიმილით ესალმებოდნენ თამაზს, პატივისცემით შეჰყურებდნენ...

უცებ თითქოს დავპატარავდი. ფეხები სილაში მეფლობოდა, აქ ხომ მხოლოდ სილიანი ნაპირია და ერთ კენჭსაც ვერ იპოვით. ვეფლობოდი სილაში და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სადღაც ქვევით მექაჩებოდა რაღაცა. უხერხულად, საქციელწამხდარი მივყვებოდი თამაზს გვერდით, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეწყინა, შემშურდა მისი, არა, არა!—მომეჩვენა, რომ მთელი სანაპირო როგორღაც ყვედრებით მიყურებდა, რომ მე თამაზ მდივნის ცოლი ვიყავი.

რა ვქნა? სად წავიდე?.. რამდენჯერ მიფიქრია, მივატოვო ყველა, ყველაფერი და სადღაც გავიქცე, გადავიკარგო, მაგრამ როგორ?

* * *

ისინი სანატორიუმის რესტორანში სადილობდნენ და ვახშმობდნენ. სანატორიუმის ახალაგებული, შვიდსართულიანი შენობა კინოთეატრის გვერდით იდგა, პარკის დასაწყისში. თამაზს ძალიან მოსწონდა რესტორნის კედლებზე შესრულებული თანადროულობის ამსახველი პანორამული ნახატები. მოსწონდა აქ ჯდომა ნასადილევს, ნავახშმევს, სიგარეტის გაბოლება და საუბარი ცოლთან და ბავშვებთან.

რესტორანში მათ თავიანთი მაგიდა ჰქონდათ, შესასვლელიდან მარცხნივ, კუთხეში. ნაცნობმა ოფიციანტმა იცოდა, რა დროს მოდიოდნენ და მაგიდას ყოველთვის თავისუფალს ახვედრებდა.

მე მათ ყოველ დღე ვხედავდი, რესტორანში ან რესტორნიდან შინისაკენ მიმავალთ. ვხედავდი პარკში, კარუსელთან, კინოში, ვხედავდი ერთად, ცალ-ცალკე. ხან მაგდა ახლდა ბავშვებს, ხან თამაზი... ვხედავდი დამსვენებლები როგორ აყოლებდნენ თვალს, როგორ უხაროდათ, როგორ სიამოვნებდათ მათი ბედნიერი სახეების ცქერა. მათი ოჯახის სიმყუდროვე და სითბო... მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი გარედან, შორიდან ჩანდა ასე. მე ხომ ვიცოდი, რა აწუხებდა მაგდას, რას განიცდიდა თამაზი. მე ხომ ვხედავდი, როგორ ვიწროვდებოდა და ფართოვდებოდა სისხლის ძარღვები, როგორ თანდათანობით იმღვრეოდა სუფთა, კამკამა წყალი, როგორ ნელნელა ირღვეოდნენ სიყვარულით წარმოსახვაში შექმნილი ოქროს კოშკები და მწვერვალები... რაღაც უნდა მეღონა, რაღაც გამეკეთებინა მაგდასათვის. ორ გამოსავალს ვხედავდი. პირველი: ტკივილს შეჩვეოდა მაგდა. პასიური და გულგატეხილი დამეტოვებინა. მეორე: მიმეცა მისთვის ძალა, საკუთარი თავის რწმენა, შთამეგონებია, ჯერ კიდევ არ იყო გვიანი, რომ შეუძლებელი არაფერია... ეს, რა თქმა უნდა, სჯობია, მაგრამ როგორ შეხვდებოდა ამას თვით მაგდა ან თამაზი? ვაი, თუ ცუდად გაეგოთ! — მეშინოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა თანდათან მაკარგვინებდა მოთმინებას.

* * *

ავარდისფერებულ ჰორიზონტზე კრიალა დისკოს ნახევარი მოჩანდა, მზე ჩადიოდა. ზღვა წყნარი და თბილი იყო. თამაზი გასახდელის გვერდით იჯდა თავდახრილი და ფიქრობდა. დროდადრო თავს აწევდა და ბავშვებს გახედავდა. ისინი იქვე, ნაპირზე მუხლამდე წყალში ჰყუმპალაობდნენ.

თ ა მ ა ზ ი: რა მოსდის მაგდას? როგორ უყვარდა ზღვა, საათობით იყო ხოლმე წყალში. მერე... ანთების გამო თავს იკავებდა, ერიდებოდა, მაგრამ ცოტა ხნით მაინც ჩადიოდა. ახლა კი, ჩემი ჩამოსვლის მეორე დღიდან სანაპიროზე გამოსვლაც აღარ უნდა. ხან რას მოიმიზეზებს და ხან რას. თითქოს რაღაცის რცხვენია. მაგრამ რისი?

* * *

მაგდა და ბავშვები სწორედ იმ დროს შემოვიდნენ რესტორნის ვესტიბულში, მე რომ გარეთ გამოსვლას ვაპირებდი. რეზოს და მეგის ძაფზე გამობმული ფერადი ბუშტები ეჭირათ ხელში. რეზო სულს უბერავდა და ბუშტი მსუბუქად, ზიგზაგად ქანაობდა თავის ზემოთ. მეგიც უბერავდა სულს, მაგრამ მას ისე კარგად არ გამოსდიოდა, როგორც უფროს ძმას, ბუშტი ხან მარჯვნივ გაურბოდა, ხან მარცხნივ... რეზომ ძაფს ხელი გაუშვა, ახლა უფრო მაგრად შეუბერა სული, ბუშტი ფანჯრისაკენ წავიდა და ბიჭიც სულის შებერვით უკან გამოუდგა. მეგიმაც ძმას წაბაძა, „არ იხმაუროთ!“ — დაუძახა მაგდამ ბავშვებს და მაგიდას მიუახლოვდა, რომელზედაც ახალი ჟურნალ-გაზეთები ელაგა და უგულოდ დაუწყო თვალიერება. მოწყენილი და სევდიანი მეჩვენა... თამაზი, ღია კარიდან დავინახე, კიბესთან იდგა და ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა. გამოვბრუნდი და მაგდასთან მივედი.

— გამარჯობათ, მაგდა.

თავი ასწია და შემომხედა.

— გამარჯობათ.

ისე მიყურებდა, აშკარა იყო, ვერ მიცნო.

— აღარ გაგონდებით?

— არა, ვინ ბრძანდებით?

— ბუნებრივია, ვერ მიცნოთ, ჩვენი პირველი შეხვედრიდან დიდი ხანი გავიდა. თუმცა, მე მაინც არ დამვიწყებიხართ... იმ წელს თქვენ ამთავრებდით. ახალგაზრდა მწერლების ერთ ჯგუფს შეხვედრა მოგვიწყო თქვენმა სკოლამ... თქვენ ერთი ჩემი ნოველა წაიკითხეთ...

— აჰ, დიახ, დიახ... გამახსენდა!.. თოვლი... გუნდაობა... ბიჭებმა ტანმორჩილი, ლამაზი გოგონა რომ ვერ შეამჩნიეს და ატირდა... მშვენიერი ნოველა იყო, ახლაც კარგად მახსოვს... მართლა, ამას წინათ თქვენი რომანი წავიკითხე. მომეწონა, წინ წასულხართ. ხდება ხოლმე, ზოგი კარგად იწყებს, საიმედოდ, მერე კი... კოვზი ნაცარში უვარდება.

— პირიქითაც ხდება. ამას საერთოდ ვამბობ. ცუდად იწყებენ, უფრო სწორედ, ვერ იწყებენ ცხოვრებას ისე, როგორც საჭიროა, როგორც უნდოდათ, მაგრამ მერე, თანდათანობით, რაღაცას მაინც ახერხებენ.

— რა თქმა უნდა.

— როგორა ხართ, მაგდა?

მ ა გ დ ა: (ღიმილით) გმადლობთ, კარგად.

მ ე: სულ არ გამოცვლილხართ, ისევ ისე ლამაზად გამოიყურებით, როგორც ამ თორმეტიოდე წლის წინათ... ოჯახი, ბავშვები, კარგია... მიხარია, რომ ასე ბედნიერი ხართ.

მ ა გ დ ა: გმადლობთ.

მ ე: მე კი ახლა სულ სხვა მიზნით მოვედი თქვენთან. უნდა მაპატიოთ.

მ ა გ დ ა: რა მიზნით?!

მ ე: მომეჩვენა, თითქოს მოწყენილი და სევდიანი იყავით. გული მეტკინა.

მ ა გ დ ა: მოწყენილი და სევდიანი? სრულებითაც არა, რას ბრძანებთ, ნამდვილად მოგეჩვენათ.

მ ე: ვფიქრობდი, დავეხმარები-მეთქი.

მ ა გ დ ა: დამეხმარებით?

მ ე: დიახ.

მ ა გ დ ა: კი მაგრამ, რაში?

მ ე: იმაში, რაც გაწუხებთ. მიზანს რომ მიღწეულად ჩათვლით, მაშინ სხვანაირად შეხედავთ ყველაფერს, რაც მთავარია საკუთარ თავს.

მ ა გ დ ა: ვერ გავიგე, რაზე მეუბნებით.

მ ე: მე ხომ ყველაფერი ვიცი, მაგდა.

მ ა გ დ ა: იცით?

მ ე: შეიძლება ითქვას, უკეთ, ვიდრე თქვენ თვითონ მომისმინეთ, მაგდა. ორი გამოსავალი გაქვთ: უნდა შეურიგდეთ თქვენს მდგომარეობას, წყნარად, მშვიდად მიჰყვეთ ცხოვრებას, ან არადა, უნდა გააკეთოთ ის, რაც წინათ ვერ შესძელით... თქვენი ტკივილის მიზეზი ხომ სწორედ ეს არის. გადაულახავი არაფერია. თქვენ ამას შეძლებთ. დარწმუნებული ვარ, შეძლებთ, მე თქვენთან ვიქნები, ძალიან მინდა დაგეხმაროთ.

მ ა გ დ ა (თავისთვის): ბოროტება ალაპარაკებს, თუ გულწრფელად მეუბნება?

მ ე: ამას ჩემს მოვალეობად ვთვლი.

მ ა გ დ ა: მოვალეობად?

მ ე: დიახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ცინარა ტერელაძე

## დილა

თამაზი და ბავშვები პარკში წავიდნენ. მაგდა შინ მარტოა, აივანზე თეთრეულს ჰფენს. ამ საქმეს რომ მორჩება, უთოს ჩართავს, მაგიდაზე საუთოებელს გადააფარებს, ოთახიდან გახამებული, დანამული ცხვირსახოცები გამოაქვს და დაუთოებას იწყებს. დაფიქრებულია. თვალები უშტერდება. დაუთოებას სწყვეტს. გამოერკვევა და ისევ განაგრძობს.

მ ა გ დ ა: ყველაფერი გასაგებია. წმინდა წყლის კაცი არ არის. ძალიან მინდა, დაგეხმაროო, ამას ჩემს მოვალეობად ვთვლიო. იდიოტი!.. რატომ მაშინვე არ მივახალე, რომ არ მჭირდებოდა მისი დახმარება... ბოლოსდაბოლოს ვინ ვგონივარ! თამაზი რომ ვესტიბულში შემოვიდა, მკითხა: ვის ელაპარაკებოდიო. ვუთხარი ვინც იყო, სკოლაში ჩატარებულ საღამოს ვიგონებდით-მეთქი... ალბათ, ყველაფერი გაიგონა, არაფერი უთქვამს, მაგრამ მთელი ვახშამი უგუნებოდ იყო. ღამით კი აღარც სანაპიროზე გასულა. ეჭვიანობს? თუ ეჭვიანობს კარგია... კარგი? თუ საზიზღრობაა, საშინელება, უწმინდურობა! ეს რომ მაფიქრებინა, ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ!.. არა, არა, ასე აღარ შეიძლება, რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც უნდა შეიცვალოს... ავდგები და გამოცდებს ჩავაბარებ!.. რა იოლად ვამბობ, ჩავაბარებ... თითქოს უთოს ჩართვა ან გამორთვა იყოს... ჩართვა ან გამორთვა... ვთქვათ, ჩართვა—ჩარიცხვას ნიშნავს, გამორთვა—გამოცდებიდან გამოვარდნას... არა, რაღაც მსგავსება მაინც არის... ეჰ... იქნებ იმას არ უთვალთმაქცნია და გულწრფელად უნდა დამეხმაროს? სისულელეა. ვისა აქვს შენი დარდი, ყველა თავისკენ თოხნის... სამედიცინოზე მაინც აღარ ღირს, აღარც ქიმია მახსოვს და აღარც მათემატიკა. გამოცდების დაწყებამდე ორი თვე დარჩა და რაღას მოვასწრებ, ჰუმანიტარული საგნები რომ იყოს, კიდევ იტყვის კაცი... თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე რომ ჩავაბარო?.. არ იქნება ცუდი. ცუდი კი არა, პირიქით, ძალიანაც კარგი იქნება!.. თეატრალური კრიტიკოსი ვიქნები, დავწერ რეცენზიებს თამაზსა და მის მეგობრებზე... თამაზს მოველაპარაკები, მაგრამ, ვინ იცის, სასაცილოდაც არ ეყოს ეს ამბავი... არასოდეს მსგავსი არაფერი დამიწერია და ახლა, ოცდაათი წლისამ რომ...

მაგიდას ბოლი აუვიდა. მაგდა გამოერკვა, შემკრთალმა უთო მაღლა ასწია... გამორთო. თამაზის ცხვირსახოცს შუაგული გამოსწვოდა.

## შუადღე

თამაზი რესტორნიდან გამოდის. ნელი ნაბიჯით პარკის შუაგულამდე ხეივანს გაივლის და „სოიუზპეჩატის" კიოსკის წინ ჩერდება, ჭადრის ჩრდილში. კიოსკი დაკეტილია. თამაზი სიგარეტს მოუკიდებს. წასვლას არ ფიქრობს. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, თითქოს გამყიდველის მოსვლას და კიოსკის გაღებას ელოდება. ჭადარს მხრით მიეყუდება და სიგარეტს აბოლებს.

წელზევით შიშველმა, მზემოკიდებულმა ბიჭებმა ზღვისაკენ ჩაიარეს. თამაზმა თვალი გააყოლა. პირდაპირ ზღვა ჩანდა... თამაზმა აქეთკენ მომავალი მეზობელი მოხუცი ცოლ-ქმარი დაინახა. ქალს, როგორც ყოველთვის, სანაპიროზე ან პარკში სეირნობისას, ახლაც პირახვეული ბულდოგი მიჰყავდა ხელზე გადახვეული ტყავის ღვედით. ქმარს ერთ ხელში გაუხსნელად ეჭირა ქოლგა, მეორეთი ჩანთა მოჰქონდა. თამაზმა იცოდა, ჩანთით ზღვაზე მსუბუქი საუზმე მიჰქონდათ, იბანავებდნენ და, მერე ქოლგის ქვეშ შეყუჟულები მადიანად შეექცეოდნენ... კაცს თავზე სომბრეროსავით ფართოფარფლიანი ჭილის ქუდი ეხურა. ქალსაც „სომბრერო" ეხურა და რაღაცას უყვებოდა ქმარს. გაუთავებელი, პათეტური ლაპარაკი იცოდა... ახალგაზრდობაში თურმე მსახიობობდა. ერთ რეჟისორს კინოშიც სდომებია მისი გადაღება, მაგრამ რეჟისორი უეცრად გარდაცვლილიყო... რამდენჯერაც არ უნდა შეხვედროდა თამაზს, თავისი მსახიობობის ამბების გახსენებაში იყო და ისიც ძალაუნებურად უსმენდა ხოლმე. ახლა კი თამაზს მასთან ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და გაცლა ამჯობინა. მარჯვნივ გაუხვია და ხეივანს გაუყვა.

თ ა მ ა ზ ი: რა საშინლად მძმარავს! რამდენი ხანია, ლუდი არ დამილევია, არც ახლა მინდოდა, მაგრამ ისე ვიყავი მოშლილი და გაბრუებული, ვიფიქრე, გუნებას გამომიკეთებს-მეთქი, უარესი კი მიყო... მაგდა!.. ნუთუ ასე იოლად წამოეგო იმის ანკესზე... თამაზმა ჩამწვარი სიგარეტი ძირს დააგდო, ფეხით მოსრისა, — დახმარება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება?.. ეს დახმარება, ეს მშვენიერი, უწყინარი სიტყვა, ქალისა და მამაკაცის დიალოგისას, ყოველთვის ცუდ ასოციაციებს იწვევს ჩემში, მაღიზიანებს, მახსენებს სტუდენტობისას, ალექსანდრეს ბაღში ნანახ ერთ ოთხკუთხედთავიან, თმაგაცვენილ შუახანს მიღწეულ მამაკაცს, წინ რომ დადგომოდა ლამაზ, ქერათმიან ახალგაზრდა ქალს და ხმადაბლა, მაგრამ პრეტენციოზული ტონით ეუბნებოდა: სამსახურში მოგაწყვე, დაგეხმარეო... მაგდამ არ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი, არ უნდა გადადგას!.. პირველ დახმარებას — მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე და თანდათანობით, ეს შეიძლება ჩვევად, მოთხოვნილებად ექცეს ადამიანს, დახმარების მიღებისა და სამაგიეროს გადახდის სურვილად, რაც ახლა არც თუ ისე იშვიათად ხდება...

* * *

კიბეზე რომ ადიოდა, თავბრუ დაეხვა. მოაჯირს წაატანა ხელი, არ დავეცეო. აივანზე ავიდა და ტახტზე წამოწვა. მაგდა ოთახში იყო, რადიო ჰქონდა ჩართული და თამაზის ფეხისხმა არ გაუგონია.

— მაგდა! — დაუძახა ცოტა ხნის შემდეგ, თავბრუსხვევამ რომ გაუარა.

— აჰ, თამაზ, მოხვედი?

რადიო გამორთო და აივანზე გამოვიდა. ცისფერი სარაფანი ეცვა, თმა დაესველებინა და დაევარცხნა. თამაზს მოეჩვენა, რომ იგი ახლა, როგორც არასდროს, ისეთი ლამაზი და განსაკუთრებულად მხიარული, აგზნებული იყო.

„სად მიდის?"

მაგდა დაიხარა და აკოცა.

— დალიე?

— ჰო, ლუდი. მომთენთა.

— დაიძინე, მე და ბავშვები ვისადილებთ და მალე მოვალთ.

მაგდამ ისევ აკოცა და კიბისკენ გაემართა.

„ის წეღან რესტორანში იჯდა... სიგარეტს აბოლებდა... დროდადრო ბორჯომს წრუპავდა..."

— მაგდა.

— რა იყო?

— რაღაც მინდა ვითხრა.

— რა უნდა მოთხრა?

— სერიოზული სალაპარაკო მაქვს.

— მოვალ და ვილაპარაკოთ.

„მაგდას ელოდებოდა?"

— ასე რატომ ჩქარობ?

— ბავშვები უნდა ვასადილო-მეთქი, ვერ გაიგე?

— თუ, შენ გეჩქარება წასვლა?

— მე? რა უცნაურობაა, თამაზ!

— მინდა ახლა გელაპარაკო.

— დაიძინე, მოვალ და ვილაპარაკოთ.

მაგდამ ხელი დაუქნია და კიბე ჩაირბინა...

თამაზს თვალებში სისხლი წამოაწვა, ტახტიდან ადგა, უფრო სწორედ, შინაგანი აფეთქების ძალამ წამოაგდო. უცებ მოეჩვენა, რომ საშინლად ღელავდა ზღვა... მაგდა ზღვაზე იწვა... დაღლილი იყო მაგდა... აჩქარებული სუნთქავდა... ტალღები მაგდას მკერდივით და მუცელივით ადიოდა და ჩადიოდა, ადიოდა და ჩადიოდა... ცისფერი სარაფანი სადღაც ხეზე ეკიდა და ნიავი აქანავებდა...

— მაგდა! — იყვირა გამწარებულმა თამაზმა და გარეთ გამოვარდა. მირბოდა და ვერაფერს ხედავდა, მირბოდა და ვერაფერს ხედავდა, მირბოდა და ვერაფერს ხედავდა...

გონს რომ მოვიდა, მოულოდნელობისაგან დაბნეულ, გაკვირვებულ დამსვენებლებს შორის მაგდა დაინახა... გასისხლიანებულ სახეზე ხელები აეფარებინა და სტიროდა... მეგი და რეზო იღლიებქვეშ ამოსდგომოდნენ, ეკვროდნენ და შეშინებულები ხმამაღლა სტიროდნენ: დედაა! დედიკოო!..

თამაზს გული მოეწურა. უცებ მოეშვა, ლოყებზე არასასიამოვნო სიგრილე იგრძნო... უნდოდა მისულიყო მაგდასთან, მოფერებოდა, მაგრამ მისი და ბავშვების ცრემლების შერცხვა, იმ ხალხის შერცხვა, გარს რომ შემოხვეოდნენ, ყველაზე მეტად კი — საკუთარი თავის და ველარ შეძლო მისვლა. გამობრუნდა და ხეივანს გაჰყვა ფეხარეული და გაფითრებული.

„ეს რა მომივიდა! რა პატარა მანძილი ყოფილა სერიოზულსა და სასაცილოს შორის...".

მკერდქვეშ საშინელი ტკივილი იგრძნო. თვალები დაუბნელდა და ჩაიკეცა.

* * *

მაგდა ფანჯარასთან დგას და ჩუმად სტირის. ღაპა-ღუპით ჩამოსდის ცრემლები და ყველაფერი, რასაც იგი ახლა ხედავს, წყალში ჩაშვებულ საგანივით ტყდება, ტორტმანებს და ირღვევა... იქვე, რაფაზე დეპეშა დევს. დეპეშაში სწერია: თამაზ, სასწრაფოდ ჩამოდი. ორშაბათიდან ფილმის გახმოვანებას ვიწყებთ.

თამაზი კი ერთი თვე მაინც გაუნძრევლად უნდა იწვეს.

ვაჟა დოლბაია

## აპრილი

სიმყუდროვეში ზღვა წევს ზღაპრული,
ოქროს თევზებით და მოლუსკებით,
სანაპიროზე მოდის აპრილი
და შიშით კვირტებს გული უსკდებათ.
ტანზე აცვია ტყეთა სიმწვანე
და სილამაზე ვარდის დუყების,
ღობემძვრალებს და დამფრთხალ წიწკანებს
კვლავ გაზაფხულის ამბავს უყვება.
და მეც მორჩილი ნიშა-ხარივით
ნიავის ენით სახეს მილოკავს,
და სიყვარულის ადევს არილი —
ჩემს უსაყვარლეს მეგრულ კილოკავს.
სიჩუმეში კი...
    ზღვა წევს ზღაპრული,
ოქროს თევზებით და მოლუსკებით.
ნაპირზე ვდგავართ
    მე და აპრილი
და შიშით კვირტებს გული უსკდებათ.

## აისბერგები

ზღვა ხსოვნად თავზე
    მუდამ დანათით
და მაინც მიდის ზღვის მისამართით —
ცრემლები,
    ოხვრა
        და საყვედური,
შავით მოსილი წყევლა დედური.
მათ არ იციან, რომ ცივგულა
    აისბერგები —
ზღვაში, ო ზღვაში
    დაღუპულთა არის ძეგლები.

მურმან ჯგუბურია

## პაროსი

მე მესიზმრება:
ყველაფერი მიდის ჩვეულად,
    ხვიფლიან ხნულში
მისრიალებს მჩატე გუთანი;
    მანათობელი
მწვერვალიდან ამოწეულა,
    ყვავილთა ზედა
მხიარული ცეკვავს ფუტკარი.
    ნაირფერია
მოციმციმე დილის ჭალაკი,
    კაცს აღარ ახსოვს
სამძიმილი გულის დამწველი;
    შორს, მეზობლები
დგანან ერთად, და ლაპარაკი
    მესმის მე მათი,
და მზესავით არის ნათელი
    ჩემთვის ყოველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 50 წელი პატარებთან



თამარ გელაშვილი. პერსონალური პენსიონერი. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტი. უკან დარჩენილია ბავშვებთან გატარებული 50 წელი — ცხოვრების სწორი და ნათელი გზა, მაგრამ მაინც წარსული; ჩვენ კი გვაინტერესებს საქმეში ვნახოთ იგი, პატარების სამყაროში...

და აი, ღია მეცადინეობა ტარდება თბილისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, რომელსაც უკვე ორ თვეზე მეტია მუშაობის გასაუმჯობესებლად ეხმარება თამარ გელაშვილი.

ბავშვები გაოცებულნი შემოდიან და პატარა მაგიდებთან სხდებიან, ისინი კი არა და დღეს მათი აღმზრდელიც არ არის მშვიდად, ღელავს; მეცადინეობას ახლო-მახლო ბაღების ასამდე აღმზრდელი ესწრება, და რაც მთავარია, ზის მათი მასწავლებელი თამარ გელაშვილი, ვისი აზრიც ასე სარწმუნოა ყველასთვის...

4-5 წლის ბავშვებმა უნდა დახატონ გაზაფხული. აღმზრდელი მოაგონებს მათ ორი დღის წინ როგორ ნახეს აყვავებული ბაღი. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ერთსტროფიან ლექსსაც იშველიებს გაზაფხულზე და კითხვებს სვამს:

— შენ რას დახატავ, გელა?

— მე დავხატავ აყვავებულ ხეს!

— მე პეპლებს და ყვავილებს!

— მე მერცხლებს! — კითხვებს აღარ უცდიან ბავშვები და იწყება „შემოქმედებითი საათი“ — ხატვა.

— ნუ ჩქარობ, დათო!

— ფუნჯი სწორად დაიჭირე, მზია!

ბავშვები სწორად, წესიერად სხედან და უხმაუროდ ხატავენ. ის კი, სკოლამდელი აღზრდის ვეტერანი, დინჯი და დარბაისელი, ჩვეული გულმოდგინებით ადევნებს თვალყურს აღმზრდელისა და აღსაზრდელების საქმიანობას, მოთმინებით უცდის შედეგს, რომ ზუსტად, ობიექტურად შეაფასოს იგი. თამარ გელაშვილის შენიშვნებს და მითითებებს ყურადღებით უსმენენ აღმზრდელები, რომლებიც აქ იმიტომ მოსულან, რომ გაიზიარონ ცოდნა, რაც ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილებიდან მოდის, ისწავლონ მისგან, ვინაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ბავშვებს, მიზნად გაიხადა მათზე ზრუნვა...

თამარ გელაშვილი ჯერ კიდევ სემინარიის მოსწავლე იყო, როცა დაწყებით კლასებში წარმატებით ატარებდა გაკვეთილებს. შემდეგ სწავლა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩქარა დაიხურა, მაგრამ თამარს ბავშვებზე ფიქრი არ მიუტოვებია, ინტერესით ეცნობოდა იმდროისათვის თბილისის ერთადერთი საბავშვო ბაღის მუშაობას და ოსტატდებოდა გამოცდილი მასწავლებლების: პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის, თამარ ერისთავის, გიორგი კონიაშვილის, თამარ ნიკოლაძისა და გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, რომელნიც მაშინ სკოლამდელი აღზრდის ერთთვიან კურსებზე იყვნენ მიწვეულნი ლექციების წასაკითხად კიკეთში, თამარი ამ კურსების მსმენელი იყო. აქ იგი დილიდან საღამომდე ბავშვებთან ატარებდა, აკვირდებოდა მათ ქცევას, ლაპარაკს, ფსიქიკას... აკეთებდა მათზე ჩანაწერებს, ჩანახატებს და შემდეგ მას მეცადინეობაზე აანალიზებდა.

ახლადფეხადგმულ საბჭოთა საქართველოში ის იყო იშლებოდა საბავშვო დაწესებულებათა ქსელი, რომ ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად, მთავრობამ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა სკოლამდელი აღზრდის მეთოდბიურო, რომლის შემადგენლობაში ახალგაზრდა თამარ გელაშვილიც შეიყვანეს, იგი მაშინ ახალდაბრუნებული იყო მოსკოვიდან, სადაც წარჩინებით დაამთავრა სკოლამდელი აღზრდის კურსები.

მალე თამარი არარსებული ბაღის გამგედ დანიშნეს, არ არსებულისო ვამბობთ, რადგან 29-ე სკოლასთან თვითონ მას უნდა გაეხსნა ბაღი და პატარების მზრუნველი და მეურვე გამხდარიყო... დაძაბულ შრომაში გავიდა ათი წელი, ათი თაობა აღუზარდა თამარმა ქვეყანას, სანიმუშოდ დააყენა ბაღში ორგანიზაციული მუშაობა...

შემდეგ მე-7 საბავშვო ბაღის გამგედ გადაიყვანეს, რომელიც პირველ სამკერვალო ფაბრიკას მიეკუთვნა. შეჩვეულ ადგილს რა სჯობია, მაგრამ სადაც ბავშვები იყვნენ, მას ყველგან თავისუფლად შეეძლო სუნთქვა, და აქაც იჩინა თავი მისმა ენთუზიაზმმა, ღამის ჯგუფებიც გახსნა და ძიძასავით უთევდა ღამეს პატარებს...

მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიხსნა თბილისის 36-ე, 37-ე, 45-ე, 67-ე და სხვა ბაღები.

მუშაობის განზოგადების მიზნით 1955 წელს თბილისში გაიმართა საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელიც შემდეგ სხვა რესპუბლიკებშიც ჩაატარეს და ქართველი სპეციალისტი ყველგან მიიწვიეს. თამარ გელაშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი შრომა და წიგნი, თანაავტორია რამოდენიმე მონოგრაფიისა, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებულია: მედლებით, სიგელებით, განათლების წარჩინებული მუშაკის სამკერდე ნიშნით...

...ხატვა დამთავრდა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, თითქმის ყველა აღსაზრდელმა მშვენივრად დახატა გაზაფხული, უშუალოდ და გულუბრყვილოდ, მაგრამ მაინც — აშკარად. ეჭვი არავის ეპარება, რომ აღმზრდელი ქებას დაიმსახურებს. სკოლამდელი აღზრდის ვეტერანი კი დგას სავსე აუდიტორიის წინაშე და დინჯად, შესანიშნავი ქართულით ლაპარაკობს, გაკვეთილს არჩევს, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიშნებს აკეთებს და ყველაფერს ამას თითქოსებივით აყალიბებს:

— ხატვა ბავშვებს ესთეტურ სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს. ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ ისინი მხატვრებად აღვზარდოთ! მთავარია, განვუვითაროთ გემოვნება, ვასწავლოთ გრძნობების გამოხატვის ხერხები, წარმოდგენა შევუქმნათ საგნებზე, მოვლენებზე... უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვმა არ გადატვირთოს ნახატი, გაუგებარი არ გახადოს იგი.

— ვეცადოთ შევასწავლოთ ბავშვებს ისეთი ქართული ორნამენტები, რომლებიც ანბანის ელემენტებს შეიცავენ, ეს მათ წერის შესწავლის დროს დაეხმარება სკოლაში.

—ნახატების გაანალიზება არ უნდა გავაჭიანუროთ, უფრო მეტი დრო უნდა მოვახმაროთ მუშაობას, მოქმედებას.

— ყველა აღმზრდელმა უნდა დაუსვას თავის თავს კითხვა: როგორ ვიმუშავო, რომ აღსაზრდელებს უკეთესი ცოდნა მივცე?..

...განხილვა დამთავრდა. ნათქვამიდან ყველა მიხვდა, რა შეცდომები დაუშვა აღმზრდელმა. ჩასანიშნი ჩაინიშნეს, დასამახსოვრებელი დაიხსომეს... მაგრამ ოფიციალური მსჯელობით მაინც არავინ დაკმაყოფილდა, გარს შემოეხვივნენ ორატორს, ესალმებოდნენ, შეკითხვებს აძლევდნენ... მათი უმრავლესობა ხომ მისი აღზრდილები არიან — საბავშვო ბაღებიდან, პედაგოგიური სასწავლებლიდან, სკოლამდელი აღზრდის კურსებიდან... მისი გუშინდელი მოსწავლეები და დღევანდელი კოლეგები კვლავაც სიამოვნებით სწავლობენ მისგან, უმადლიან, შეჰხარიან...

სწორედ ასეთია თამარ გელაშვილი. ჩვენ მისი მუშაობის ერთი დღე ვნახეთ, ერთი საათი; თანაც მისი ცხოვრების გაზაფხულისა კი არა, როცა არ იცოდა რა იყო დაღლა, წინააღმდეგობა... არამედ — დღევანდელი დღე, როცა იგი უკვე ნაჭირნახულევს იმკის, მაგრამ ჩვენთვის უკვე ნათელია: როგორ შრომობდა, როგორ იღწვოდა.

...მიდის შინისკენ მაღალი, წარმოსადეგი ქალი, შვილიშვილებთან მიიჩქარის. სამი წლის ზვიადს შეჰპირდა: დღეს მე დაგაძინებო და იცის, რომ ბიჭი დაელოდება, ბებოს სიტყვა მისთვის კანონია, ბებო ტყუილს არ იტყვის... და ის 70 წელს მიღწეული, ისე ახალგაზრდულად მიაბიჯებს, თითქოს უკან კი არ დარჩა მისი ცხოვრების მღელვარე დღეები, არამედ — წინ არის...

ნინო ახალკაცი

# ჭიამაია

ტყის პირას, ეზოში, ერთი ქლიავის ხე იდგა. ზედ ერთთავად შავთმიანი, შავთვალება პატარა გოგონა იჯდა, წითელი კაბა შავი წინწკლებით ჰქონდა მოხატული.

— ჩამოდი, მოისვენე, ყოველდღე კაბაჩამოხეული როგორ უნდა შემოხვიდე შინ? მკვახე ქლიავი გაწყენს, — ეტყოდა ხოლმე დედა. გოგონა არ უგონებდა, ჯიუტი, ძალიან ჯიუტი იყო. იცოდა, მართალი არ იყო, და, მაინც თავისი გაჰქონდა.

ერთხელ, აიტეხა, გინდა თუ არა იხვის ჭუჭულები უნდა წავიყვანო და მდინარეში ვაჭყუმპალაოო.

— კარგი, წავიყვანოთ! — დასთანხმდა დედა.

— არა, მე მარტო მინდა წასვლა!

— არ შეიძლება, ჯერ ძალიან პატარა ხარ, გზა აგებნევა და სახლს ველარ მოაგნებ.

— პატარა, პატარა, — აზლუქუნდა გოგონა, — სულ პატარას მეძახით, დიდი ვარ, დიდი... მარტო უნდა წავიდე!

დედამ დატუქსა, — არ გაბედოო! მაგრამ გოგონა, აბა რისი ჯიუტი გოგონა იქნებოდა, თუ თავისას არ გაიყვანდა. ჯიბე ქლიავებით გაივსო და ჭუჭულები ჩუმად გაიყვანა ჭიშკარს იქით.

— რა პატარაა და შეხეთ, მარტო მოდისო, — უკვირდათ ხეზე შემომჯდარ ჩიტუნებს.

გოგონა კი მიდიოდა და მიიმღეროდა. ჭუჭულებმა წყალი რომ დაინახეს, სულ ბაჯბაჯით გაიქცნენ და შიგ პატარა ნავებივით შეცურდნენ. გოგონამ ერთხანს უყურა, მერე პეპლებს გამოუდგა დასაჭერად. ირბინა, ირბინა და როცა დაიღალა, უკან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ აი, გზა ველარ იპოვა. ამასობაში კიდეც დაღამდა. აღარსად ჩანდნენ ჭუჭულები, აღარც პეპლები. აღარც ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. სადღაც ტურები ჩხაოდნენ მხოლოდ. გოგონას ძალიან, ძალიან შეეშინდა და ატირდა.

— ვაიმე, ვაიმე, სადაცაა მგელი მოვა და ჩამყლაპავს. ნეტავ ისეთ რამედ მაქცია, რომ პირი ვერაფერმა დამაკაროს.

სად იყო და სად არა, მის წინ ჯადოქარი აღიმართა.

— ნატვრას შეგისრულებ, — უთხრა მან, — ხელახლა გოგონად კი მაშინ გადაგაქცევ, როცა ჯიუტობას მოიშლი.

— კარგიო, — დასთანხმდა გოგონა, და მაშინვე ჭიამაიად იქცა.

დილით, ყველაზე ადრე, ტოტზე შემოსკუპებულმა ჩიტუნამ შეამჩნია. ნისკარტი დაჰკრა, პირის ჩაგემრიელება უნდოდა, მაგრამ ისევ უკან გამოაგდო, ემჟავა. გოგონას ხომ ჯიბეში ქლიავები ეწყო? სხვა ჩიტებმაც მოინდომეს მისი შეჭმა, მაგრამ არც მათ მოეწონათ „მჟავე“ ჭიამაია.

ჰოდა ასე... დაცუნცულებს წითელკაბა, შავი წინწკლებით მოხატული, უწყინარი ჭიამაია ბალახებში, სრულიად, სრულიად არავინ ერჩის, დადის და დაეძებს დედას.

— ჭია, ჭიამაია, ხვალ როგორი დარია?

— ჭია, ჭიამაია... — ჭიამაიაც ფრთებს შლის და მიფრინავს... ხანდახან ავიწყდება ჯადოქრისათვის მიცემული სიტყვა და ჯიუტობს.

ბავშვები კი უმეორებენ და უმეორებენ:

— ჭია, ჭიამაია, დაკარგული მაპოვნინე, მე შენს დედას გაპოვნინებ.

— ჭია, ჭიამაია...

ჭიამაია ხან შლის ფრთებს და ხან — არა.

გუგული ტოგონიძე

# პროფესიით — პროლეტარული მსახიობი



ვერა კალაძის პატარა, კოხტად მორთულ ბინაში ვარ, ძნელაძის ქუჩა № 15-ში. მასპინძელი ქართული სცენის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია. ძველ, სუსხიან დღეთა მძიმე ჭრილობად — ვერას ოთახში სურათიდან იყურება მისი უფროსი ძმა — მინა კალაძე, 1905 წლის დეკემბრის თვეში, ნაძალადევში რომ დაეცა მეფის კაზაკებთან მუშების შეიარაღებული რაზმების შეტაკებისას. დღესაც იქ არის — ცხრა ძმათა საერთო სამარეში განისვენებს...

საუბარს ვიწყებთ თეატრზე, ხელოვნებაზე. მძიმე განწყობილება იფანტება. ვერას სახე უბრწყინდება. იგი ხომ თეატრალურ ხელოვნებას ათეული წლის მანძილზე ემსახურა, სცენიდან უნერგავდა ადამიანებს თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილს. სხვანაირად არც შეიძლებოდა. კალაძეების რევოლუციური ოჯახის შვილმა, სწორედ ძმის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ გადასწყვიტა გაჰყოლოდა მის გზას, სცენის საშუალებით განეგრძო ბრძოლა.

პირველად სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის სცენისმოყვარეთა წრეში გამოვიდა. დაიდგა პიესა „დამარცხებული", სადაც კალაძეების ქალიშვილს დიდის როლის შესრულება დაეკისრა.

მას შემდეგ, რაც ვერა კალაძე მოგზაური თეატრალური დასის ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და რეჟისორს — დავით კობახიძეს გაყვა ცოლად, მისთვის მოუსვენარი და მძიმე ცხოვრება დაიწყო: რაიონიდან რაიონში, სოფლიდან სოფელში, კუთხიდან კუთხეში. დასი იშვიათად სარგებლობდა კომფორტით. სცენა რომელიმე გლეხის ოდა-სახლის აივანი იყო, მაყურებელი კი ღია ცისქვეშ იყრიდა თავს.

ერთხანს საშუალება მიეცა ცოტათი მაინც აემაღლებინა თავისი სამსახიობო კვალიფიკაცია — ქართულ თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში ჩარიცხეს, სადაც გამოჩენილი რეჟისორები ალექსანდრე წუწუნავა და მიხეილ ქორელი ასწავლიდნენ. შემდეგ კვლავ დასის მგზავრობა ყარსში, სარაყამიშში, ალექსანდრეპოლში, სადაც მრავლად იყვნენ ქართველი რკინიგზელი მუშები. დავით კობახიძის დასმა ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და ყველგან მიჰქონდათ ახალი სიტყვა თავისუფლებაზე, რევოლუციაზე... ამის გამო დასი განიცდიდა დევნასა და შევიწროებას.

— სხვა მრავალ როლთა შორის ვაჟის როლიც შემისრულებია, — იგონებს ვერა და გული სტკივა, რომ არ შემორჩა სურათი ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი პატარა კახისა. ახლაც კი დიდი პათოსით წარმოთქვამს მონოლოგებს ოთხმოც წელს გადაცილებული ვერა. იგონებს დასის მუშაობას 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში. იმ დროს სამტრედიის ბოლშევიკური ორგანიზაცია ძველი ბოლშევიკების: ვანო სტურუას, ვალიკო გეგეშიძისა და ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ. დავით კობახიძისა და ვერა კალაძის ინიციატივით აქ ჩამოყალიბდა და დაკომპლექტდა მოგზაური პროლეტარული თეატრალური დასი — „დემოსი", რომლის სამოქმედო გეგმაში სამტრედიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შეიტანა სააგიტაციო-საპროპაგანდო საქმიანობა; რეპერტუარში შეტანილი იქნა რევოლუციური ხასიათის პიესები. წარმოდგენებს წინ უძღოდა ლექცია-მოხსენებები მიმდინარე პოლიტიკურ მომენტებზე. ლექციების წასაკითხად მოწვეული იყვნენ ცნობილი რევოლუციონერები: — რაჟდენ კალაძე, გედეონ მჟავანაძე, შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; პოეტები: სეზმან ერთაწმინდელი, სანდრო ეული... „დემოსის" სული და გული ვერა კალაძე იყო, იგი ასრულებდა საპასუხისმგებლო როლებს, მოგზაურობდა... ჩვენი დასის მუშაობა მხედველობიდან არ გამოეპარათ მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებს და სათანადო ზომების მიღებაც არ დააყოვნეს: დავით კობახიძე და ვერა კალაძე დააპატიმრეს. ერთხანს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჰყავდათ, შემდეგ კი საქართველოს საზღვრებიდან გაასახლეს. მეუღლენი 1920 წელს მოსკოვში ჩავიდნენ, მოინახულეს აბელ ენუქიძე და მიხა ცხაკაია. მიხა ცხაკაია იმ პერიოდში კომინტერნის სამდივნოში მუშაობდა. მან ცოლ-ქმარს წერილი გაატანა განათლების სახალხო კომისართან — ანატოლ ვასილის ძე ლუნაჩარსკისთან; აი რა ეწერა ამ წერილში: „ძვირფასო ანატოლი ვასილის ძევ! ამის წარმომდგენნი ცოლი და ქმარი ამხ. ვერა და დავით კობახიძეები მოვლინებული არიან თქვენი კომისარიატის ხელოვნების ნაწილის განკარგულებაში. ისინი პროფესიით პროლეტარული მსახიობები არიან, რისთვისაც ქართველმა მენშევიკებმა, ციხეში წვალების შემდეგ, გაასახლეს საქართველოს საზღვრებიდან... იმედი მაქვს გაუწევთ ყოველნაირ დახმარებას".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დ. კობახიძე და ვ. კალაძე სამშობლოში დაბრუნდნენ და ჩვეული ენერგიით, საქმის სიყვარულით დაიწყეს მუშაობა თავისუფალ საბჭოთა სცენაზე.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, ვერას მყუდრო ბინაში ვარ. კედლიდან მისთვის ძვირფასი ადამიანების — მინა კალაძის, დავით კობახიძისა და პოეტ კარლო კალაძის სურათები გვიმზერენ.

ჩვენ კი ვზივართ და ვიგონებთ განვლილ დროს, რა ამაღელვებელი, რა შთამბეჭდავი იყო მისი გმირები. როგორი დევნა და მატერიალური გაჭირვება გადაუტანია! ხშირად წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ჩვენს ღამისგასათევ ბინას ისევ სცენა წარმოადგენდა და, მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები არასოდეს დამინახავს მოღრუბლულნი. იმედის სხივი მუდამ აცისკროვნებდა მათ სახეებს.

სპირიდონ კიკაჩეიშვილი,
საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.



# ბავშვებ-ზე ზრუნვა-ში

რედაქციაში ყოველდღე მრავალი ბარათი მოდის. ზოგი წერილის ავტორი მადლობას უხდის აღმზრდელ პედაგოგს, მკურნალ ექიმს, ზოგი თავის გულისტკივილსა და სიხარულს უზიარებს რედაქციას. მინდა ჩვენს მკითხველებს გავაცნო ერთ-ერთი მათგანი და წერილის წერაც ამით დავიწყო:

„ძვირფასო რედაქციავ!

შევიტყვე, რომ თქვენს ჟურნალში წერილის გამოქვეყნებას აპირებთ ელენე კუტუბიძეზე. მინდა ყველამ იცოდეს მისი ვინაობა. ის ნამდვილად ღირსია იმისა, რომ გაიგონ მისი გულისხმიერების, ბავშვებისადმი უანგარო სიყვარულისა და იმ დიდი პასუხისმგებლობის შესახებ, რითაც იგი თავის მოვალეობას უდგება.

მე, როგორც ჩოხატაურის საბავშვო სახლის ერთი პირველი აღზრდილთაგანი, მოწმე ვარ იმისა, თუ რა ენთუზიაზმით შეუდგა ელენე კუტუბიძე თითქმის ტრიალ მინდორზე უდედმამო ბავშვთა კერის შექმნას. დანგრევის პირას მისული ძველი, ვაჭრისეული სახლი, გაპარტახებული ეზო, მისმა გამრჯე მარჯვენამ წალკოტად აქცია. პირველად მე და ჩემმა პატარა დაიკომ შევაღეთ ახლადდაარსებული საბავშვო სახლის კარი. გუშინდელივით მახსოვს, როგორ ვტიროდით, როცა ბებიამ იქ დაგვტოვა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა უმწეო მოხუცს, ომმა თითქოს მარტო ჩვენი ოჯახისათვის მოიცალა...

იქ დაგვხვდნენ კეთილი და მოსიყვარულე ადამიანები, რომლებმაც მალე დაგვავიწყეს ობლობა. ეს პირველ რიგში ითქმის საბავშვო სახლის დირექტორზე — ელენე დეიდაზე. მას ყველა ბავშვი უყვარდა, მაგრამ მე რაღაც განსაკუთრებულად შემიყვარა, შეიძლება იმიტომაც, რომ პირველთაგანი ვიყავი.

არ შემიძლია ამ ბარათში გადმოვცე, თუ რამდენ სითბოს, მზრუნველობასა და ალერსს ვგრძნობდით მისგან. იგი ხშირად საკუთარი ფულით ყიდულობდა საჩუქრებს ბავშვებისათვის. ერთი სიტყვით, თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ვერც ერთი დედა იმაზე მეტს ვერ გაუკეთებდა საკუთარ შვილს, რაც მან ჩვენ და განსაკუთრებით მე გამიკეთა. ვიგონებ და მიკვირს, სად ჰქონდა ამ ქალს ამდენი ენერგია და სითბო, ასე უხვად რომ უნაწილებდა თითოეულ ჩვენთაგანს. ყოველთვის ვგრძნობდი, თუ რა დიდი დავალებული ვიყავი მისგან და პატივისცემას ბეჯითი სწავლით ვიხდიდი.

ოქროს მედალზე დავამთავრე საშუალო სკოლა, პირველი ხარისხის დიპლომით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი დაამთავრა ჩემმა დამაც.

დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუკი მომეპოვება რაიმე კარგი და ვარ ბედნიერი — მყავს მოსიყვარულე მეუღლე და შვილები, ყოველივე ამას ელენე დეიდას უნდა ვუმადლოდე. მან ჩამინერგა ადამიანური ღირსებები, მასწავლა შავისა და თეთრის გარჩევა.

მრავალი გზასაცდენილი ბავშვი დააყენა ელენემ სწორ გზაზე ტაქტიანი მიდგომით, გულში ჩამწვდომი საუბრებით... არასოდეს დამავიწყდება აღსაზრდელი ნ. ზ. იგი ჩვენთან მახინჯაურის საბავშვო სახლიდან გადმოიყვანეს. ძალიან თავნება და ნერვიული ბავშვი იყო. მისი თითქმის ყველა აღმზრდელს და აღსაზრდელს ეშინოდა... როდესაც თავისი უწესო საქციელით ყოველგვარ ზომას გადააჭარბა და მის წინაშე ყველანი უმწეონი აღმოჩნდნენ, ელენე დეიდამ იგი თავის კაბინეტში შეიყვანა და დიდხანს იყვნენ ჩაკეტილები. იქ რა მოხდა, დღესაც არავინ იცით. გავიდა დღეები, ნ. ჩაფიქრებული დადიოდა, აღარავის არაფერს უშავებდა, შემდეგ სხვა საბავშვო სახლში გადაიყვანეს, და აი, ერთ მშვენიერ დღეს ელენე დეიდამ მისგან მადლობის წერილი მიიღო...

ასეთი შემთხვევები უამრავი იყო საბავშვო სახლის ცხოვრებაში. ვინ მოთვლის რამდენ მადლობის ბარათებს იღებდა ჩვენი დეიდა ელენე თავისი აღზრდილებისაგან.

დიდი პატივისცემით დ. ლ.“

ვათვალიერებთ ვეებერთელა ალბომს, რომელიც სავსეა ბარათებით, დეპეშებით, სურათებით, სამახსოვროებით, მათში დიდი სითბო და სიყვარული ჩაუქსოვიათ ჩოხატაურის საბავშვო სახლის აღზრდილებს, ელენე სათუთად ინახავს ამ ალბომს, როგორც მისი ცხოვრების ძვირფას რელიქვიას.

ალბათ, იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, ვიდრე გაწეული შრომისა და ამაგის დაფასება. ბედნიერებაა იყო პედაგოგი და ამ გზისთვის არასოდეს გეღალატოს, არც ერთი დღე უბავშვებოდ არ გეცხოვროს, იყო მათი დედა, აღმზრდელი, ჭკუისდამრიგებელი. ძნელი და საპატიოა, რომ სხვის შვილებს ნამდვილი დედობა აგრძნობინო. სწორედ ასეთი იყო ელენე კუტუბიძე, პრინციპულიც და ლმობიერიც, მკაცრიც და თბილიც, თავის დროზე მან ყველაფერი იცოდა და არასოდეს არაფერი ეშლებოდა; მშრომელ ოჯახში აღზრდილი ქალი ბავშვებთან ერთად „ეუფლებოდა“ დიასახლისობას, მათთან ერთად აკეთებდა კერძებს, კერავდა, რეცხავდა, გოგონებს დედობისათვის ამზადებდა, მათთან უფრო ლმობიერი და დამთბობი იყო, ვიდრე ვაჟებთან. ვაჟების ეშინოდა, თავი არ წამართვან, სწავლაზე გული არ აიცრუონო.

ერთხელ მთელი ღამე ქუჩაში გაათია ელენემ. ბავშვი დაიკარგა. აბა რა მოასვენებდა, რა დააძინებდა! ბევრი ეძია და იპოვა მდინარის პირას, ხიდის ქვეშ მიყუჟული. ბიჭს ვიღაცამ აწყენინა, ულმობლად მოექცა მის სათუთ გულს, და პროტესტის ნიშნად ბავშვთა სახლიდან გაიპარა. გულში ჩაკრული მოიყვანა ელენემ ბავშვი უკან, დიდხანს უყვავებდა, ეფერებოდა, არიგებდა (ამ შემთხვევაში დატუქსვა არც ივარგებდა).

...ჩემს წინ ზის ძალზე სიმპათიური გარეგნობის ქალი, ზის და იგონებს ყოველი აღზრდილის ბავშვობას. ეს მოგონება განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრის, ვერც ერთზე ვერ თქვა, შრომამ არ გამიმართლა, წყალში ჩამიცვივდაო.

თექვსმეტი წელი გაატარა ელენემ ჩოხატაურის ბავშვთა სახლში, შიშითა და ღელვით, კმაყოფილებითა და სიხარულით სავსე თექვსმეტი წელი. ამ წლებს, ბავშვებზე ზრუნვაში გაჭაღარავებული ქალი, თავისი ცხოვრების ყველაზე ღირსსახსოვარ და ძვირფას წლებად თვლის.

ახლა ელენე კუტუბიძე სოფელ ბუკნარის 8-წლიანი სკოლის დირექტორია, ისევ პატარებზე ზრუნავს. ერთი რამ აშინებს მხოლოდ — პენსიაზე გასვლა — ვაი, თუ ვერ გავძლოო უბავშვებოდ.

ნანული ბუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსთაველის პრემიის ლაურეატი



ძველი თბილისი

# ელენე ახვლედიანი

ყოველთვის, როცა ელენე ახვლედიანზე ვლაპარაკობ, უკმარობის გრძნობა მეუფლება, ალბათ იმიტომ, რომ კიდევ დამრჩა ბევრი რამ, რაც ვერ ვთქვი, ვერ ამოვხსენი ამ საოცარ ადამიანში. მე მიყვარს, უზომოდ მიყვარს ელენე ახვლედიანის მხატვრობა, და ასევე მიყვარს და მაოცებს მისი ადამიანური ბუნება, არაჩვეულებრივი და უცნაურობით აღსავსე.

ახლახან კვლავ ვეწვიე ელენეს საუცხოო სამფლობელოს. ელენე აღნიშნავდა თავის დაბადების 70 წლისთავს, თან დაერთო მისთვის ძალიან ძვირფასი ჯილდოს — რუსთაველის სახელობის პრემიის მიკუთვნება. საღამო ხანი იყო, მისი გაჩირაღდნებული დარბაზი, მორთული ძვირფასი თვლებით — მისივე სურათებით, სავსე იყო ხალხით. დიდი დარბაზი ველარ იტევდა მოზღვავებულ სტუმრებს, ძლივს შევედი. ამ ხალხთა კრებულში ელენე გამოირჩეოდა ყველასაგან. ლამაზი იყო მისი შთამბეჭდავი, მრავალმეტყველი სახე თეთრი თმით დამშვენებული. ღიმილი არ შორდებოდა მის ბაგეს და თვალთაგან ნათელი გამოკრთოდა. ის ბედნიერი იყო ახლა, ის კარგად გრძნობდა თავს ხალხში, რომლის უმეტესობა მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები არიან. რა თქმა უნდა სურათების ნახვის საშუალება არ იყო, ალბათ აქ ბევრი ახალი ტილოებიც არის, ძველი კი, თუმცა ბევრჯერ მაქვს ნანახი, მაგრამ ყოველი ნახვისას, თითქოს პირველად ვხედავ! ამას შემდეგისათვის გადავდებ, ახლა კი ელენეს ვუცქერი, — ამ ჯადოქარს, რომლის შთაგონება დაუშრეტელია. ეს მისი ნიჭის თავისებურებაა. მაგრამ ნიჭი ხომ ცალკე არ არსებობს, ის არის ადამიანის ბუნების ნაწილი, შეიძლება ყველა სხვა თვისებაზე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო მომხიბვლელი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი თვისება. ვუცქერი მას და მინდა მივაგნო ბუნების საიდუმლოების ამოკითხვის საოცარი უნარის საწყისებს. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ლეიტმოტივი ელენეს ადამიანური ბუნებისა არის დიდი მოსიყვარულე გული, დიდი სურვილი ყველას სიკეთე გაუკეთოს, ყველა რაღაცით გაახაროს... განა ბევრმა იცის როგორი დამშვენებულია ელენე ახვლედიანის სიცოცხლე კეთილი საქმეებით!

ელენეს ატელიეში ხშირად დიდძალი საზოგადოება იკრიბება. ამას წინათ მან მოაწყო ბავშვთა ნახატების ძალზე საინტერესო გამოფენა, თუმცა მისმა ორგანიზაციამ დიდძალი ენერგია მოითხოვა, მაგრამ ელენემ თავის დაზოგვა არ იცის. უკვე მოაწყო აგრეთვე რამოდენიმე გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი თბილისი



ჯვარი



სახლი ნაკაშიძის ქუჩაზე



ძველი თბილისი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი თბილისი. ხალიჩების რიგი.




ბაზარი



ზამთარი რაჭაში



სახლები კლდეზე





„კოლიუჩაია ბალკა“

ჯვადასხვა მხატვრისა (უმეტესად მათი, ვიაც არ ძალუძს სხვა და სხვა მიზეზების გაო გამართოს გამოფენა მხატვართა გალეიეაში). ხან მისი ატელიე საკონცერტო დარაზად იქცევა, სადაც შეიძლება მოისმინო ლისო ვირსალაძის წარმტაცი შესრულებ, ნ სიმღერები ჩვენი შესანიშნავი მომღერლების — ნადია ხარაძისა და სხვათა დ ახვათა... რამდენი ხალისია ამ საღამოებშ. სადაც ელენეს იმპროვიზაციული ნიჭიც ვლინდება და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებს! ელენეს მიზანიც ეს არის. ეს ყველაფერი მეტყველებს ელენე ახვლედიანის ხასიათის თავისებურებაზე, მის უბერებელ სულზე, მის ცხოველმყოფელ ნიჭზე!

ჩემს წინ დევს რამოდენიმე წერილი ელენეს რომ ვუძღვენი სხვადასხვა დროს კფურცლავ მათ, და მინდა გავიმეორო პატარა ნაწყვეტი ამ წერილებიდან.

..ხის ჩარჩოებში, მაგიდებზე, იატაკზე, ერთიმეორის მიყოლებით, აფენია ძვირფასი ტილოები — ეს თბილისია, ძველი, ახალი, გუშინდელი და დღევანდელი.. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ელენე ახვლედიანის წყურვილი საყვარელი ქალაქის ამოცნობისა, დაუოკებელია, უძირო, უსასრულო.. ჩემს გარშემო ფერთა სამყაროა — — ნეტარებით ვისრუტავ მის დაუსრულებელ მრავალფეროვნებას — ქახქახასა და სისხლსავსეს, მზის შუქით გაპრწყინებულს... ფერმკრთალს, ნაზს, გამჭვირვალეს, დაისის ბინდგადაკრულს... ყოველ ნახატში მხატვრის უზომო სიყვარულია ჩაქსოვილი დედაქალაქისადმი. გასაოცარ რაკურსში დანახული ქუჩები, შესახვევები, ეზოები და აივნები, სახურავები... ამაღლებული და სულ უბრალო, არაფერი გამოპარვია მის მზერას, ყოვლისმხედველი თვალი აქვს ამ მხატვარს, ვერაფერს გამოაპარებთ. არაფერი ავიწყდება... სათუთად შენახულ შთაბეჭდილებას დროისაგან ფერი არ ეცვლება. სამუდამოდ ინარჩუნებს სიმკვეთრესა და განუმეორებელ სურნელებას.

ცხოვრებაში დანახულს ელენე ახვლედიანი ახალ, ხელოვნებისეულ სიცოცხლეს ჩაბერავს ხოლმე, ყოველ მის სურათს აქვს მისამართი, მხატვარი მიგითითებს ადგილს. მე მინახავს ეს ადგილები, მაგრამ ახლა ვერ ვცნობ. ეს აკვირვებს მხატვარს. ვიცი რომ ეს ადგილები არის ჩვენს ქალაქში, მაგრამ ელენე ახვლედიანის ტილოზე ისინი გასაოცარი პოეზიით აჟღერდებიან, ივსებიან ისეთი რომანტიკული სულით, რომელიც ქალაქის კუთხეს დიდი ხელოვნების ნიმუშად აქცევს. მიდიან წლები. თმაშევერცხლილი ელენე ახვლედიანის სახეს დრომ თავისი დაღი დაასვა, მაგრამ მისი ნიჭი გაზარდა, აამაღლა, გააძლიერა. ამიტომ მისი შემოქმედებაც დროთა მანძილზე სულ უფრო მეტად ახალგაზრდაა და მშვენიერი!“

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.



კრება



პრაღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარია

სექტემბრის ერთი ჩვეულებრივი დღე მარადდაუვიწყარია მის ცხოვრებაში.

წინა ღამე თვალღიად გაათენებინა ამ დღეზე ფიქრმა, დილით კი მაინც ხალისიანად ადგა, დანიშნულ დროს გულაჩქროლებით შევიდა დარბაზში, მაგრამ როდი იმჩნევდა. მხოლოდ სახის ფერი თუ ამჟღავნებდა ბუნებით გულმშვიდი ქალიშვილის იდუმალ მღელვარებას. თავს ძალა დაატანა და თვალი შეავლო დარბაზში მყოფთ. ყოველი კუთხიდან გამამხნევებელი ღიმილი შეეგება პასუხად...

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში მყოფნი სულგანაბულნი უსმენდნენ დისერტანტს—ახალგაზრდა აფხაზ ქალს სარია ამიჩბას, უსმენდნენ და აღტაცებას ველარ ფარავდნენ... სამეცნიერო საბჭომ ერთსულოვნად მიანიჭა სარია ალექსანდრეს ასულ ამიჩბას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ეს იყო გასული წლის 30 სექტემბერს.

სარია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გამოირჩეოდა თანატოლებისაგან, საოცრად მოკრძალებული იყო და საოცრად ნიჭიერი, ჩინებული — სამეგობროდ და საამხანაგოდ...



ხალასი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შეხამება ქალურ კდემასთან ბუნების ნაბოძები თუა, აფხაზეთის — ამ ულამაზესი კუთხის ნაბოძები!

შინ გვიან დაბრუნდა სარია, და როცა ოთახში თავი მარტოდ დაიგულა, მაშინღა იგრძნო დაღლა, მაგრამ თვალს არც ახლა მიეკარა რული, ან იქნებ ძილისთვის ვერ გაიმეტა დრო? ეს კია, რომ გონების თვალით კვლავ სააქტო დარბაზში იყო და აღმზრდელი პროფესორ-მასწავლებლები გამარჯვებას ულოცავდნენ... მერე მშობლიური ჯგერდი და იქ გატარებული ბავშვობა დაუდგა თვალწინ...

უსიხარულოდ გაატარა თავისი ყმაწვილქალობა სარიას დედამ. სწავლა სწყუროდა, მაგრამ... აფხაზი ქალის სწავლა ვის გაუგონიაო, ოჯახს მოეკიდე და შვილები ზარდეო, უბრძანა მამამ და ისიც დაემორჩილა მშობლის ნება-სურვილს: კარგი ოჯახი შექმნა, მაგრამ დღემოკლე აღმოჩნდა ოჯახური ბედნიერება. ომში წასული მეუღლე შინ ველარ დაბრუნდა, ექვსი პატარა შვილის ამარა დარჩა ცხოვრების შუაგზაზე. ერთადერთი წერილი მიიღო ფრონტიდან და იგი, შვილების თანდასწრებით მრავალჯერ წაკითხული, ქალს დარდს უქარვებდა, შვილებს მამას არ ავიწყებდა. ათასში ერთხელ კი (აბა, სად ეცალა საამისოდ) ხელში აფხიარცას აიღებდა და ხმანაღვლიანად ღიღინებდა. ამ წუთებს თვლის ყველაზე ტკბილმოსაგონრად სარია, როცა ბავშვობას იგონებს. ახლა კი... თუმცა უკეთესია მანვე გვითხრას თავისი სათქმელი:

— რომ იცოდეთ, როგორ მეამაყება, რომ სახელოვანი მეცნიერების—არნოლდ ჩიქობავასა და ქეთევან ლომთათიძის აღზრდილი ვარ. პატივცემული ქეთევანი აფხაზური ენის შესწავლის მიზნით ჯგერდში საცხოვრებლად რომ ჩამოსულა, ბიძაჩემის ოჯახში ყოფილა ბინად. ამიტომ იცის ასე ბრწყინვალედ აფხაზური ენა და მისი დიალექტები. იქნებ ამ გარემოებამაც განაპირობა მომავალი პროფესიის არჩევანი.

ვინ იცის, იქნებ ასეც იყო.

ახალგაზრდა მეცნიერი ქალის ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია აფხაზური ენის აბაზინური (ჩრდილო) დიალექტი, მოწონებულ იქნა იბერულ-კავკასიური ენების მესამე რეგიონალურ სესიაზე.

ამჟამად სარია ამიჩბა მშობლიურ ენას ასწავლის ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სადაც 165 პროფესორ-მასწავლებელი მოღვაწეობს. ამავე ინსტიტუტში მუშაობენ სარიას და და უფროსი ძმა. ერთი სარიას კოლეგაა, მეორე — ისტორიკოსი. ყველაზე უმცროსმა ამიჩბამ წარჩინებით დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ექვსი უმამო და-ძმა და ექვსივე უმაღლესი განათლებით!

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ქალს ჯერ კიდევ დიდი და საინტერესო გზა აქვს წინ. მეცნიერება ხომ ზღვაა ულევი და უკიდეგანო.

ზურგის ქარს გისურვებთ, სარია!

თამარ ახვლედიანი,
ლეილა დადიანი.

რასულ გამზათოვი

## პატარა ლექსები

* * *

— ვის უმძიმს ქვეყნად ყველაზე მეტად?
ვისაც არვინ ჰყავს რჩევის მომცემი,
ვის უფრო უმძიმს ამ ქვეყნად ნეტავ?
ვისაც არვინ ჰყავს რჩევის მომსმენი.

* * *

მგზავრნი სიმშვიდით მაშინ ვნეტარებთ,
როდესაც ძაღლებს ვერ ვამჩნევთ გზაში,
როცა ძაღლები ვერა გვხედავენ,
გზას უფრო დინჯად მივყვებით მაშინ.

* * *

— რად იკლაკნება ქვემძრომი მუდამ?
— მრუდეა მისი უკუნი სორო.
— ზოგჯერ ჩვენც რატომ დავდივართ მრუდად,
განა ჩვენი გზაც არაა სწორი?!

თარგმნა რამაზ ბარკალაიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეჯვრისხევში

დიდი და ლამაზი სოფელია მეჯვრისხევი, შუაში მდინარე მეჯუდა ჩამოუდის, ირგვლივ კი მთები და ხშირი ტყეები აკრავს. მაგრამ მხოლოდ სილამაზით როდი ამაყობს მეჯვრისხევი. ბევრ საქველმოქმედო საქმეს მისცემია აქ დასაბამი, ბევრი თვალსაჩინო პიროვნება შობილა, აღზრდილა და აქედან გამოსულა დიდ სარბიელზე.

აქ გახსნილა საქართველოში პირველი სახელოსნო სკოლა მე-19 საუკუნეში, სწავლამოწყურებულ გლეხებს იგი თავიანთი სახსრებით დაუარსებიათ.

მეჯვრისხევში არსებობდა ქალთა სასწავლებელი „მანდილოსანი“. აქ სცენისმოყვარეების მიერ საქველმოქმედო მიზნით ხშირად იმართებოდა წარმოდგენები და შემოსავალი სოფლის კეთილდღეობას ხმარდებოდა. ხალხის თაოსნობით დაარსდა მეჯვრისხევში სამკითხველო, საავადმყოფო, ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი. მეჯვრისხეველებს ჰქონდათ „კეთილ-სინდისის“ ბეჭედი, რომელსაც მამულების ყიდვა-გაყიდვისას ან ოჯახური საქმეების მოგვარებისას იყენებდნენ. მეჯვრისხევის ქუჩებში მგზავრების გადასაყვანად მიმოდიოდა ეტლი და სიცოცხლით ავსებდა სოფელს.

აღსანიშნავია, რომ ამ კეთილი საქმეების მოთავეები და სულისჩამდგმელები მეჯვრისხეველი ქალები იყვნენ.

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და ოჯახებში გაბნეული იყო ამ სოფლის მდიდარი ისტორიული წარსულის ამსახველი მასალები. სასიხარულოა, რომ მათი მოძებნა, შეკრება და თავმოყრა ამ სოფლის მკვიდრმა, დამსახურებულმა პედაგოგმა და პერსონალურმა პენსიონერმა ვერა გოგიაშვილმა იკისრა. მან მშობლიური სოფლის ავ-კარგი ერთ „ბოხჩაში“ გამოკრა და სოფელს მიაშურა. მოეთათბირა სოფლის თავკაცებს და სოფელში მუზეუმის შექმნა გადაწყვიტა. გორის რაიონის და სოფელ მეჯვრისხევის ხელმძღვანელობამ, გულთან ახლოს მიიტანეს ეს ინიციატივა და დიდი დახმარება გაუწიეს ვერა გოგიაშვილს საშვილიშვილო საქმის მოგვარებაში.

ახლა სოფელ მეჯვრისხევში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია მუზეუმი. მისი კედლებიდან იმ კეთილშობილ ქალთა სახეები შემოგანათებთ, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში.

აქ ნახავთ ცნობილი ბელეტრისტი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სურათს. საინტერესოა პორტრეტის ქვეშ მინაწერი: მეჯვრისხევში გადაუხდია თავისი ასულისათვის ქორწილი გიორგი ერისთავს. ანასტასია ერისთავს ჯვარი დაუწერია პოეტ დუტუ მეგრელზე (დიმიტრი ხოშტარია), აკაკი და გიორგი წერეთლები მათი მეჯვარეები ყოფილან.

აქვეა სილამაზით განთქმული მანანა ორბელიანის პორტრეტი. შეხედავთ მას და გონების თვალწინ ამოტივტივდება ბრწყინვალე ლიტერატურული სალონი, სადაც იშვა საქართველოში მუდმივი თეატრის დაარსების იდეა, სადაც დაიბადა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის აზრი, სადაც გამოითქვა მეჯვრისხევში შექსპირის „ოტელოს“ დადგმის სურვილი, სადაც იკრიბებოდნენ ის ადამიანები, რომელნიც საქართველოს სიყვარულში იფერფლებოდნენ და სხვების გულშიც ამ სიყვარულს ანთებდნენ.

შენი სალონის ქალთა მშვენებამ ფარაჯიანი ჯარისკაცი პოეტად მაქციაო, — სწერდა მანანა ორბელიანს გრიგოლ ორბელიანი.

მანანა ორბელიანი, მეუღლე დავით ორბელიანისა, იყო მეჯვრისხევის მკვიდრის, თავად მირმანოზ ერისთავის ასული.

მეჯვრისხეველი იყო ანა ხახუტაშვილიც, რომელიც ქართულ მწერლობაში ცქვიტის ფსევდონიმით არის ცნობილი. იგი დიდი გულშემატკივარი ყოფილა სოფლის სცენისმოყვარეთა დასისა. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (1910 წ. № 31) სწერს: „ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა ზ. მაჩაბლის მონაწილეობით წარმოადგინეს ა. ცაგარელის „ციმბირელი“. წარმოდგენის დაწყებამდე ჩვენმა თანამშრომელმა, ქალბატონმა ცქვიტმა დამსწრეთ აუხსნა თეატრის მნიშვნელობა და პიესის შინაარსი. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, დიდძალი ხალხი დაესწრო, გლეხკაცობა უფასოდ შეუშვეს. წარმოდგენის გამმართველთ აზრი აქვთ შემოსავლით სამუდამო სცენა მოაწყონ“.







ეროვნული ბიბლიოთეკა

„და მეჯვრისხევი, ჩემო ანიკო,
განა სათქმელი მე კი არა მაქვს,
ჩემი მშობელი დედაც აქ იყო,
აქედან მქონდა ენის ბარაქა“.

ასე იგონებს ცქვიტისადმი მიძღვნილ ლექსში ცნობილი პოეტი ქალი მარიჯანი თავის საყვარელ სოფელს. მარიჯანის დედა დარია ზაქარიას ასული ხახუტაშვილი მეჯვრისხეველი ყოფილა. დედამ ასწავლა მარიჯანს წერა-კითხვა, მანვე ჩაუნერგა ქართული ლიტერატურის სიყვარული. მუზეუმის კედლებს ათბობს მარიჯანის ლექსები.



მდინარე მეჯუდას ნაპირებზე ხშირად უვლია სოფრომ მგალობლიშვილის მეუღლეს, მეჯვრისხეველ ნინო მღებრიშვილს, მისი შთაგონებით მწერალმა სოფრომ მგალობლიშვილმა სოფელში მცხოვრები ზაქარია მღებრიშვილი — ჯორ-ზაქარას სახით წარმოგვიდგინა ამავე სახელწოდების მოთხრობაში.

სცენისმოყვარეთა შორის ჯარასავით ტრიალებდა პედაგოგი ანეტა ხახუტაშვილი-ახალშენიშვილი. იგი ხან ნებართვისათვის დარბოდა, რომ წარმოდგენები გაემართათ, ხან შესაფერ ბინას დაეძებდა, ხან მეზობლებში თხოულობდა წარმოდგენისათვის სკამებსა და ტანსაცმელს, ხან კი იჯდა თავის მეუღლესთან ერთად და რუსულიდან თარგმნიდა გოგოლის, კოროლენკოს, დოსტოევსკისა და სხვათა ნაწარმოებებს.

საზოგადო საქმისათვის თავს არ იზოგავდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის და — ეკატერინე სარაჯიშვილი-ერისთავისა, მან საკუთარი სახსრებიც კი გაიღო, რათა სახელოსნო სასწავლებელში მისაღებთა რიცხვი 50 მოსწავლით გაზრდილიყო.

მუზეუმში სათუთად ინახება გაზეთ „კვალის“ ის ნომერი (1896 წ. № 32), რომელშიც რედაქცია მადლობას უძღვნის ცნობილი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის დას — ეკატერინე გიორგის ასულ აბაშიძე-ერისთავისას, რომელმაც 1896 წელს ითავა სოფელ მეჯვრისხევში ბიბლიოთეკის დაარსება.

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი თავის მემუარებში სწერს: ქალაქ გორში მარიამ კონსტანტინეს ასული ელიოზაშვილისა საქველმოქმედო მიზნით ხშირად მართავდა საღამოებს, მე და ვანო სარაჯიშვილი უსასყიდლოდ ვიღებდით მონაწილეობას ამ საღამოებშიო. მარიამ ერისთავი-ელიოზაშვილი იგონებს: „საღამოებზე შემოსული თანხით მეჯვრისხევის გლეხის შვილები ბევრჯერ გაგვიხარებია, მათთვის ვყიდულობდით სასწავლო ნივთებს და წიგნებს“.

ხუთი საქსოვი დაზგა ჩახჩახებდა სოფელში და გლეხი ქალების ნახელავი ძაფით იქსოვებოდა აბრეშუმი. დაზგებს თავს დასტრიალებდა ნინო ზაქარიას ასული არსენიძე. მისივე თაოსნობით დაარსებულ ქალთა სასწავლებელ „მანდილოსანში“ მოსწავლეები საოჯახო საქმეს სწავლობდნენ. ნინოს წყალობით ამ სასწავლებელში კულინარიის სწავლებაც შემოუღიათ. ეკატერინე აბაშიძის სოფლიდან წასვლის შემდეგ, სოფლის ბიბლიოთეკაც ნინომ ჩაიბარა.

მეჯვრისხეველი ქალები ქართლში განთქმული მომღერლებიც ყოფილან. ქართლის სოფლებს, ხალხური სიმღერების შესწავლის მიზნით, კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი და მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული სწვევია. გლეხებმა ნასყიდა გოგიაშვილის მეუღლე თამარი დაუსახელეს, როგორც ხალხური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი.

თამარი სტუმრებს ჭიშკართან მიეგება. შეიტყო მათი მისვლის მიზეზი და დაიმორცხვა. მაგრამ ნასყიდა არ მოეშვა, სტუმრები სახლში შეიპატიჟა, კარგი სუფრა გაუშალა და მეუღლეც აიძულა ემღერა.

თამარმა თავისებური სასიამოვნო ხმით ტკბილი „ურმული“ წამოიწყო. მერე თავისი გოგონა ვერიკო (ვერა გოგიაშვილი) გვერდში ამოიყენა და სტუმრებს ორ ხმაზე მრავალი ქართული სიმღერა უმღერეს. დიმიტრი არაყიშვილი და ილიკო ქურხული აღტაცებული დარჩნენ და დედა-შვილის სიმღერები ნოტებზე გადაიტანეს.

საქმეში გართულ მეჯვრისხეველ ქალებს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლავრენტი არდაზიანის მეუღლე ეკატერინე (კეკე) ზეპირად უკითხავდა შოთას უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“.

და ვინ მოსთვლის, რამდენი სასიკეთო საქმე უკეთებიათ მეჯვრისხეველ ქალებს! მუზეუმი, რომელიც ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელს ატარებს, კვლავაც შეივსება საინტერესო მასალებით.

ნუნუ მესხი





მუზეუმი

საავადმყოფო

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი

ჟურნალ-გაზეთების კიოსკთან

სტადიონზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოწყენილი და ჩაფიქრებული დაბრუნდა სტეფანე ყანიდან.

— წყალი მომიტანე და ხელ-პირი დამაბანიე, — გასძახა საქმით გართულ მეუღლეს. სტეფანეს სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ მის წინ კოკით ხელში პატარა პაშა გაჩნდა. სტეფანე ხელპირს იბანდა, პაშა კი მამის შეწუხებულ სახეს შეჰყურებდა.

— რატომ ხარ, მამიკო, ასე მოწყენილი? — შეეკითხა შვილი.

— ჰე, შვილო, აბა რა გამახარებს, დღედაღამე ვმუშაობ და ჩემი ნამუშევარი დადიანებს მიაქვთ.

ვინც იყვნენ დადიანები, სტეფანემ ვახშმობისას კარგად განუმარტა შვილებს: ბესარიონს, კაპიტონსა და პაშას.

„მამა თოხნის, დადიანს მიაქვს!“ — ამ ფიქრებში შემოათენდათ ლოგინში სტეფანეს შვილებს.

იზრდებოდნენ ბავშვები ბუნების სიკეთით შემკულ ნოქალაქევის მადლიან მიწაზე და გულში ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის სურვილი ესახებოდათ.

...კვირა დღე იყო. უბრალოდ, მაგრამ კოხტად ჩაცმული გოგონა ბანძისაკენ ფეხით გაუყვა გზას. ბანძის ბაზარში ხალხთმრავლობაა. სწორედ ეს უნდა პაშას. ცნობისმოყვარეობით გადაავლო თვალი ხალხს, დაზვერა მიდამო და ბაღის ერთ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ზის პაშა და ეძებს დროს, რომ მოხერხებულად დატოვოს სკამზე ბოლშევიკური პროკლამაციების დიდი შეკვრა. იხელთა დრო, შეუმჩნევლად დასდო ქაღალდების შეკვრა და შორიახლოდან დაიწყო თვალთვალი. პროკლამაციები სასწრაფოდ გავრცელდა ხალხში და რევოლუციონერთა მოწოდებანი მალე ბანძის მთელ ბაზარს მოეფინა, პაშა კი, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, დინჯად გავიდა ბაღიდან. უეცრად ბაზარში ცხენოსანი ბოქაული შემოიჭრა და უმოწყალოდ დაუშინა მათრახი ყველას, ვინც კი პროკლამაციას ეცნობოდა. ხალხმა დატოვა ბაზარი.

მეეტლე ქებურია დიდის ამბით ჰყვებოდა ბაზარში მომხდარ ამბებს, და რა იცოდა, რომ კოფოზე ჩამომჯდარი მეზობელი გოგონა — პაშა მელიქაძე ამ ორომტრიალის ამტეხი იყო.

...გაიმარჯვა რევოლუციამ, საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. შეიქმნა პარტიის ახალ-სენაკის სამაზრო კომიტეტი და პარტიის ნოქალაქევის რაიკომი, გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა, პაშა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მაზრაში ქალთა შორის.

როცა 1924 წლის აგვისტოში ნოქალაქევში რამდენიმე დღით ძალაუფლებას მენშევიკები დაეპატრონენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა პარტიის რაიკომის მდივანი ალექსანდრე ჯოჯუა.

წვიმიანი ღამეა. ნოქალაქევის ბოლშევიკების შტაბში შეიტყვეს: გეზათიდან ნოქალაქევისაკენ ურმით მენშევიკი ოფიცერი მოდის მენშევიკების დასახმარებლადო. საჭირო იყო მისი განიარაღება. ალექსანდრე ჯოჯუამ პაშას დაავალა: დაუხვდი ურემს და დააპატიმრე ოფიცერიო. პაშამ იარაღი აისხა და მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი წყვდიად ღამეში ნოქალაქევის საზღვარზე დაუხვდა ურემს.

— გააჩერე ურემი, — უბრძანა მეურმეს. — ჩამოსვი შენი ტვირთი, გესმის!

— წისქვილში მივდივარ, სიმინდია ურემზე, — მოიკატუნა თავი მეურმემ. პაშამ რევოლვერი შეატრიალა ხელში, ურემზე შეხტა და მენშევიკ ოფიცერს თავს დაადგა:

— ხელები ასწიე, თორემ საბოლოოდ დაგილამდება!

— რას მერჩი, მე ერთი მგზავრი ვარ, — ამოილუღლუღა შეშინებულმა ოფიცერმა.

— გასაგებია ჩემთვის, ვინცა ხარ, ჩამოდი ჩქარა!

გატყდა ოფიცერი, ურმიდან ძირს ჩამოვიდა. პაშამ იგი ალექსანდრე ჯოჯუას მიჰგვარა. ლამპის შუქზე ოფიცერმა დაინახა, რომ მისი დამჯაბნელი ქალი იყო და ისიც სრულიად ახალგაზრდა, გაძალიანდა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ამაოდ.

ღამე იწურებოდა, სოფელ ნოქალაქევის დიდი ნაწილი მენშევიკებმა დაიკავეს, ბოლშევიკებმა ციხე-გოჯის მთას შეაფარეს თავი.

რა ქნას პაშამ! გათენებამდე უნდა გაეცალოს სოფელს, თორემ დააპატიმრებენ. მაგრამ როგორ გაეცალოს? შარაგზებზე მენშევიკები დგანან.

— მივდივარ, ალექსანდრე, — უთხრა რაიკომის მდივანს და ესტატე მალანიას სახლს მიადგა, კარებზე დააკაკუნა.

— პაშა ვარ, ქრისტინე, კარი გამიღე! — დაბალი ხმით თხოვა ოჯახის დიასახლისს.

— ასე უთენია რა გინდა, შვილო, — ოთახიდან გამოეხმაურა ქრისტინე.

— მომეცი ესტატეს ნაბადი და ჩაბალახი, მეტი დრო არ არის, ჩემო ქრისტინე.

მიხვდა ქრისტინე, რაშიც იყო საქმე და უსიტყვოდ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. პაშამ მოირგო ახალი სამოსი და გარეთ გავარდა, მაგრამ უეცრად ფიჩხით დაფარულ ძველ ჭაში ჩავარდა. ზის პაშა ჭაში და ფიქრობს: აქ მენშევიკები ვერ მოაგნებენ, მაგრამ როდემდის უნდა იყოს ასე?

მეორე დღეს, როცა ქრისტინე მალანიამ ჭის ახლოს ატამი დაარხია, ქვემოდან ქალიშვილის ხმა მოესმა, გაოცდა, მივიდა ჭასთან და რას ხედავს — პაშა უძახის: არ იკივლო, ბაწარი მოიტანე, ერთი ბოლო ატმის ხეს მიაბი, მეორე მე ჩამომიგდე და ამოვალო. პაშა ჭიდან ამოვიდა და ტყისკენ გასწია, მაგრამ ვიღაცამ გასცა და იმავე საღამოს დააპატიმრეს. ნაბდიანი ქალიშვილი მენშევიკების შტაბში მიიყვანეს. ტეხურის ხიდზე რომ გადაჰყავდათ, ერთმა ბრძანა: მდინარეში გადააგდეთ ეს ლაწირაკიო, მაგრამ მეორე წინ აღუდგა მის სურვილს და პაშა ლილი ჯავახიასთან ერთად საპატიმროში მოათავსეს.

მალე მენშევიკური ავანტიურა მარცხით დამთავრდა. პაშა კვლავ ნაყოფიერად მუშაობს. 1924 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1925 წლიდან 1929 წლამდე ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში სწავლობდა, 1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და პარტიის თბილისის კომიტეტში ქალთა განყოფილების გამგის მოადგილედ დანიშნეს.

პაშას თავიდანვე იტაცებდა პედაგოგიური სარბიელი, უყვარდა სკოლა, ახალგაზრდობა, შეუსრულდა ოცნება: მუშაობდა ვეტერინარული და ჰიდრომეტეოროლოგიური ტექნიკუმების დირექტორად, რკინიგზის მე-8 და მე-6 საშუალო სკოლების დირექტორად, ისტორიას ასწავლიდა თბილისის სხვადასხვა სკოლებში. 1959 წლიდან პერსონალური პენსიონერია, მაგრამ სკოლასთან კავშირი არ გაუწყვეტია. ხშირი სტუმარია მისი. მასთანაც მოდიან მისი აღზრდილები და იღებენ საქმიან რჩევა-დარიგებას.

1971 წლის თებერვალში პაშა სტეფანეს ასულ მელიქაძეს 70 წელი შეუსრულდა, მის პარტიულ ბილეთს კი — 50.

ლ. ჯოჯუა,
ც. ხურცილავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედა, მოქალაქე, ხელოვანი...

ეს იყო ამ ოთხიოდე წლის წინ.

ამბროლაურის კულტურის სახლში სტუმრად მისულს, ლამაზი მანდილოსანი შემომეგება. მისმა თბილმა ღიმილმა თოვლიანი და მოღუშული დღე, გზაზე დაღლა და სიცივე გადამავიწყა. ხელი ჩამომართვა, გამეცნო.

— თამარ მაცაბერიძე გახლავართ, ინსტრუქტორ-მეთოდისტი... ამ წუთში დავუძახებ დირექტორს, აქვეა..

რამდენიმე დღე დავრჩი ამბროლაურში. ინსტრუქტორ-მეთოდისტს ძალაუნებურად ვადევნებდი თვალყურს. ღიმილი და სითბო არ მოშორებია მის სახეს.

რაოდენ განვცვიფრდი, როცა მითხრეს, რომ თამარ მაცაბერიძე ხუთი ვაჟკაცის დედაა. სახელებიც ჩამომითვალეს: ჯიგული, პაატა, ჯიმშერი, ჯუმბერი და ჯურღა...

საქართველოში ხუთი ვაჟის ყოლა ვის გაკვირვებია, ცხრა ძმაც ბევრი ყოფილა. ოცი ძმის ზღაპარიცა გვაქვს. დღეს კი გვიხარია, [illegible] დედას ბევრი შვილი ჰყავს. ეროვნულ, პატრიოტულ, სახელმწიფოებრივ საქმედ მიგვაჩნია. ასეცაა. ხუთი ვაჟის დედა ხოტბის ღირსია, მაგრამ თამარის ცხოვრება სხვა მხრივაცაა საყურადღებო...

თამარი 1922 წელს დაიბადა თბილისში, რაჭიდან გადმოსახლებული რკინიგზელის ოჯახში. სულ შვიდნი იყვნენ: დედა, მამა და ხუთი დანი. ღარიბულად ცხოვრობდნენ. მაგრამ მდიდრებსაც შეშურდებოდათ მათი ცხოვრება. მაცაბერიძეების სახლიდან მუდამ სიმღერის ხმა ისმოდა. ბუნებით მომადლებული ჰქონდათ სიმღერის ნიჭი და სიყვარული. მღეროდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხურ სიმღერებს, განსაკუთრებით კი რაჭულს...

ქალაქში დასახლებულ რაჭველს სტუმარს რა გამოულევს! მაცაბერიძეთა ოჯახიც სტუმრიანი იყო და შინაურ კონცერტებს თვლა არ ჰქონდა... სწორედ ამ კონცერტებზე შეიყვარა თამარმა ქართული სიმღერა...

1936 წელს თამარი კონსერვატორიაში ჩარიცხეს, ვოკალურ ჯგუფში. დიდ იმედს ამყარებდნენ მის წკრიალა ხმაზე... მაგრამ ვერაფრით შეეგუა ვოკალისტისათვის აუცილებელ რეჟიმს. მისი ლტოლვა ხალხური სიმღერებისაკენ იმდენად მძლავრი იყო, რომ ვერ მოწყდა საყვარელ ჰანგებს... მღეროდა მარო თარხნიშვილის გუნდში... სიმღერით შემოიარა ჩვენი ქვეყნის ვრცელი მიწა-წყალი — ვლადივოსტოკიდან კარპატებამდე. მისი ფანდურის ღუღუნი სმენიათ საქართველოს თითქმის ყოველ დაბა-ქალაქსა და სოფელში...

...პირველი ბიჭი შეეძინა 1940 წელს... ხელში ჩვილითა და ფანდურით, თამარი კვლავ დადიოდა ფილარმონიის ბრიგადასთან ერთად. საგასტროლო მოგზაურობაში მოუსწრო მრისხანე ომმა... იმ მძიმე დღეებშიც არ გაწყვეტილა თამარის ფანდურის სიმი, არც ხმას გასჩენია ბზარი. ზურგში მომუშავე მამაც ადამიანებთან ერთად ისიც სჭედდა მტერზე გამარჯვების საერთო საქმეს... და როცა მისი უღლის ცალი ფრონტზე წავიდა, თამარმა ორი შვილი, ორი ბაჭუნა წაიყვანა და პაპისეულ საბუდარს — რაჭას მიაშურა.

ვის არ ახსოვს ომის მძიმე წლები? ქვეყანას უჭირდა. არც რაჭველებს ულხინდათ, მაგრამ შინმობრუნებულ შვილიშვილებს გულის კარი გაუღეს და რაჭული გულითადობით შეიკედლეს. არც თამარი დარჩენილა ვალში — საკოლმეურნეო შრომის ფერხულში ჩაება. სიმღერის ტრფიალი კი ძველებურად ახლდა — საკოლმეურნეო კლუბთან



[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერის გუნდი შექმნა და სოფლის შავად ჩამობურულ, მძიმე დღეთა ერთფეროვნებაში ხალისი შეიტანა.

როდესაც ნაომარი და ნაჭრილობევი მეუღლე შინ დაბრუნდა, დიდხანს ითათბირეს, სად ეცხოვრათ — თბილისს დაბრუნებოდნენ თუ...

— მე ამ კუთხის დიდი ვალი მაქვს, — უთხრა თამარმა მეუღლეს,— ეს ბიჭუნები რომ ასე კარგად დაგახვედრე, სულ ამათი წყალობით. ჯერ ვერ მივატოვებ რაჭას...

არც რაჭამ გაიმეტა თამარი. ცოლ-ქმარი ამბროლაურში დამკვიდრდნენ და შემოქმედებითი საქმიანობა გააჩაღეს სარაიონო კულტურის სახლში...

მას მერე ოცი წელიწადი გავიდა...

რამდენი რამ მოხდა ამ ხანში! თამარს კიდევ სამი ვაჟი შეეძინა. ომგადახდილნი შინ დაბრუნდნენ. ამბროლაური კიდევ უფრო გალამაზდა, აშენდა, დამშვენდა.

მაგრამ ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით:

მარტო დარჩა თამარი, მაგრამ ხუთი ბიჭი მარტოობის საშუალებას არ აძლევდა; ისიც დღენიადაგ შრომობდა და პატარებს ლუკმას არ აკლებდა.

...ამბროლაურელებს დიდებული კულტურის სახლი აქვთ. ამ სახლის თაღებქვეშ შეიქმნა სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ქართული ხელოვნების დიდებული სეიფი... ამ სახლის თაღებქვეშ შეიქმნა აგრეთვე სახელგანთქმული სახალხო თეატრი, რომლის სპექტაკლებმა ბევრჯერ მოხიბლა არა მარტო რაჭის, არამედ ქუთაისის, თბილისის და სხვა ქალაქებისა და კუთხეების მრავალრიცხოვანი აუდიტორიები.

ამ თეატრის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ — გიგა ჯაფარიძემ თამარ მაცაბერიძეში სიმღერისა და ცეკვის გარდა სხვა უნარიც აღმოაჩინა და ის თეატრის საქმიანობაში ჩააბა.

ეს იყო 1955 წელს.

მას მერე თამარი სახალხო თეატრის ყოველი სპექტაკლის მონაწილეა, სული და გულია.

რაჭველების სახალხო თეატრებზე (ამბროლაური, ონი) ვერავინ იტყვის — „დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთაო“, რომ არაფერი ვთქვათ „ოიდიპოსისა“ და „ჰამლეტის“ დადგმების შესახებ (ონი), ამის დასტურად რეპერტუარიც გამოდგება: ა. ცაგარელის „ციმბირელი“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, ბ. ლავრენიევის „რღვევა“, მ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... ცამეტიოდე წლის განმავლობაში ამბროლაურის სახალხო თეატრის სცენაზე თამარს ორმოცამდე როლი აქვს ნათამაშევი და ამდენივე სახე შეუქმნია... მას ყველა სახის ცხოვრებით უცხოვრია სცენაზე, მაგრამ გამორჩეულად უყვარს რამდენიმე მათგანი: ჯავარა („მოკვეთილი“), ბერსენიევა („რღვევა“), მართა („ადამიანი იბადება ერთხელ“), მედეა („მედეა“ ლ. სანიკიძისა“). „ეტყობა მსახიობს ყოველთვის მომგებიანი როლი უყვარს და იზიდავს“ — ასე გავიფიქრე პირველად, მერე კი, როცა მასთან საუბარს შევყევი, მივხვდი, რომ ვცდებოდი...

1964 წელს ამბროლაურის საზოგადოებამ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ საიუბილეო საღამოთი აღნიშნეს თამარ მაცაბერიძის ხელოვნებაში მოსვლის 30 წლისთავი.

უამრავი სტუმარი ეწვია იმ დღეს ამბროლაურს თბილისიდან, ქუთაისიდან, ონიდან, მახლობელი დაბა-სოფლებიდან. იყო კარგი მოხსენება, ითქვა ბევრი თბილი სიტყვა; მოვიდა უამრავი დეპეშა, მოლოცვა, ბარათი, ყვავილები, საჩუქრები... იყო ლხინი, სადღეგრძელოები... მაგრამ ყველაზე უფრო თამარს ორი ღია ბარათი ახარებდა — ერთი ვლადივოსტოკიდან მოვიდა, მეორე — სვერდლოვსკიდან...

„დედა! გილოცავ შენს იუბილეს, გისურვებ კიდევ მრავალი წელი გემსახუროს ყველას სასარგებლოდ... შენი ჯიგული...“

„ძვირფასო დედა!

გილოცავ შენს საიუბილეო ზეიმს. გისურვებ დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს ჩვენდა საკეთილდღეოდ. დაე, ეს ზეიმის იყოს საფუძველი ახალი ცხოვრების დასაწყისისა. პაატა“.

ეს მისი შვილები იყვნენ, შორიდან ეხმიანებოდნენ დედის ზეიმს... მაშინ ფარაჯები ეცვათ...

ახლაც სამი რამ ახარებს თამარს: შვილები, ხელოვნება და მოღვაწეობა. ჯიგული რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მუშაობს, პაატა თბილისში, ორჯონიკიძის რაიონის სახლმმართველობის ინჟინერია, ჯიმშერი და ჯუმბერი საბჭოთა არმიაში არიან... ჯურღამ ახლახან დაამთავრა საშუალო სკოლა, სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ ჯგუფშია... ეს ის ჯურღა გიორგობიანია, მოსწავლეთა რესპუბლიკურ გამოფენაზე მედალი რომ დაიმსახურა ნახატისათვის „კვარაციხე“.

თან სწავლობენ ბიჭები, თან მუშაობენ, მალე ბებიაც გახდება თამარი... ამბროლაურში კი არცერთი კულტურულ-მასობრივი ღონისძიება არ გაიმართება უიმისოდ. ის მღერის, ქმნის სცენურ იერსახეებს, ცეკვავს... ინსტრუქტაჟს უწევდა სასოფლო კლუბებს, ამოწმებდა, ეხმარებოდა... დიდი გული და დიდი ენერგია აქვს ამ უბრალო ადამიანს, დედას, ხელოვანს და მოქალაქეს... ამიტომ უყვარს ყველას იგი.

**სერგო ჭეიშვილი**

# დედები ჩემი კუთხიდან

ჩემი სოფელი საინგილოშია, ალათემური ჰქვია სახელად. ძალიან მიყვარს ალათემური, მისი გარემო, შრომისმოყვარე, პატიოსანი ინგილოები. დედმამას ცხრა შვილი ვყავართ: მართა, ნაზიბროლა, პეტრე, იადონი, გულო, თეოლინე, ვანო, ციცინო, თამაზი. უფროსი მე გახლავართ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი. ნაბოლარა თამაზი კი 5 წლისაა მხოლოდ, ეს ხელს არ უშლის ჩემს დედას, თებრო კონსტანტინეს ასულ ტარტარაშვილს, რომ მონდომებით იმუშაოს საკოლმეურნეო მინდვრებში, საკარმიდამო ნაკვეთზე, იტრიალოს ოჯახში, მოუვიაროს, მიხედოს შინაურსა და გარეულს. რაც მართალია, მართალია, ძალიან კარგი დედა გვყავს!

მამა ერთ დროს ჩვენს კუთხეში განთქმული მონადირე — შალვა ტარტარაშვილი, ამჟამად პენსიონერია. რაც შეუძლია ისიც შრომობს, მტერს არ ახარებს, მოყვარეს კი გულღიად უხვდება. მამა განსაკუთრებულად მიყვარს, მიყვარს იმიტომ, რომ იგი წამით არ დაფიქრებულა, ისე გამოგვიშვა თბილისში განათლების მისაღებად — მეც და ჩემი და ნაზიბროლაც, ამჟამად სამედიცინო ტექნიკუმის მე-3 კურსის სტუდენტი. მამას მიზნად აქვს ყველა შვილს უმაღლესი განათლება მისცეს. ჩვენც ვცდილობთ შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ოჯახს. ზაფხულის არდადეგების დროს უსაქმოდ ვერავინ გვნახავს. გასულ ზაფხულს კი ცოტა „ვულალატე“ ოჯახს — მოვიარე სოფლები: კახი, ალიბეგლო, შოთავარი, ძეგამი. ოჯახმა იცოდა ჩემი მიზანი: მინდოდა მენახა ჩვენებური ზეპირმთქმელები, მესაუბრა მოხუც ხალხთან, ჩამეწერა ზეპირსიტყვიე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რების ნიმუშები: ლექსები, თქმულებები, ზღაპრები. ამის გაკეთება რასაკვირველია ნაწილობრივ შევძელი, გარდა ამისა, უნივერსიტეტის დავალებით გამოვიკვლიე და ჩავიწერე 240 ტოპონიმი. ჩემი ოცნებაა საერთოდ ამ საქმეს ვემსახურო, მეც შევიტანო მოკრძალებული წვლილი ხალხური საუნჯის შეკრების საქმეში.

მინდა რამოდენიმე ინგილოური ხალხური ლექსი გავაცნო ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებს.

1). ინგილოური ნანა, — შინაარსით განსხვავდება ქართული ნანინასაგან, სამაგიეროდ მას მწუხარე და გულმოსაკლავი კილო აქვს; „დედაჲ აკუანს არწევს, ყმაწილ არ იზინევს".

დაიზინ, ძილო, დაიზინ,
დაიზინზილ, დედა, დაიზინ.
ფურაჲ მაასლელი, შენთავ შაჭმელი.
დაიზინ, ბალა, დაიზინ,
დაიზინ, დედა, დაიზინ.
მამა მაასლელი, ჩიჩი მააღელი!
ნაინაჲ შენ, შილო, ნაინაჲ,
დიშმნი თოლ გმოჰთხარ, ნაინაჲ.

2). სტუმარი ოჯახიდან წასვლისას ასე დალოცავდა ხოლმე ჭერს:

კუთხე, კუთხე ჭერი,
მოკდეს სახლის მტერი.
წამსვლელს კაჲ გზა,
დამრჩენს შიდობა.

3). ინგილო მოხუცი ქალები წინდებისა და ჯეჯიმების ქსოვის დროს ერთმანეთს ეშაირებიან:

დაბერეუხარ, ვეღარ მაიგევ.
წინდი კოლა[1] ნაბად ჩაიგევ.
დაბერეუხარ, ვეღარ გაიგევ,
ჟიჟიმი[2] კოლა ნაბად ჩაიგევ.

4). მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი სატრფიალო ლექსები. აი ერთი მათგანი:

ქალმანი და წინდა,
ხევში ჩამიცვივდა.
ჩონ დარიკოჲ ამბოვს
ლამაზ ბიჭი მინდა.

აქ ქალ-ვაჟის სახელს ცვლიან, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ მათგანს მიუმღერებენ ამ კაფიას.

5). მეტად გულისამაჩუყებელია ავადმყოფი პატარძლის სიმღერა; ვფიქრობ, ეს ლექსი გამოძახილია იმ აუტანელი ყოფისა, რომელშიც უხდებოდა ძველად ცხოვრება ინგილო ქალს. ავადმყოფ რძალს არავინ აწვდის წყალს:

მამამთილო — ბოინთირო![3].
დაიწო გული, ერთ წეთ წყალი.
დედამთილო — სახლის თირო[4].
დაიწო გული ერთ წეთ წყალი.
მაზლო-მაზლო! — როგორ გოეზლო,
დაიწო გული, ერთ წეთ წყალი.
მაზლისცოლო — შაჰმარგელო[5].
დაიწო გული, ერთ წეთ წყალი.
მულო, მულო — ტაბკის გულო,
დაიწო გული, ერთ წეთ წყალი.
სხვითაჲ შილო — ვარდი კონა,
დაიწო გული ერთ წეთ წყალი.

ბოლოს „სხითაი შილი" ე. ი. ქმარი მიუტანს წყალს. ქალი დალევს და მოკვდება.

მართა ტარტარაშვილი

---

[1]. კოლა — მაგიერს ნიშნავს, ე. ი. წინდის სანაცვლოდო.

[2]. ჟიჟიმი — ჯეჯიმი, ხალიჩის მაგვარი ნაქსოვი.

[3]. ბოინთირი — სხვენის დასამაგრებელი ძელი.

[4]. თირო — სახლის ჭერი, დედაბოძი.

[5]. შაჰმარგელი — გესლიანი გველი.



მხატვარი ბელა ბერძენიშვილი

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## აღზრდის ხელოვნება

# ბავშვი და ოჯახური უსიამოვნებანი

**რედაქციისაგან: ამ წერილში დასმული საკითხი ჩვენ მეტად საჭირბოროტოდ ვცანით. ჩვენ მომავალშიც დავბეჭდავთ წერილებს ოჯახის წევრთა ურთიერთობის შესახებ. დღეს ცუდ რძლებზე დავწერეთ, ხვალ ცუდ დედამთილ-მამათილსა და მულზე ვილაპარაკებთ.**

მაგონდება უშინსკის სიტყვები: „ნორჩ ხეს გაავლე მსუბუქი ხაზი და როდესაც ხე გაიზრდება, ეს განახაზი დიდ ნაპრალად, ან მახინჯ კორძად გადაიქცევა". ბავშვის ბუნება ხომ უფრო ნაზია და მეტი გაფრთხილება სჭირდება, რადგან ოდნავი უშინსკისეული ხაზიც კი ღრმა კვალს სტოვებს მის ფსიქიკაზე. ასეთი ხაზის გავლება კი ყველაზე მეტად დედას შეუძლია. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პატარას მომავალი დედაზეა დამოკიდებული.

„როგორი იქნება ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩამოვაყალიბებთ მას ხუთი წლის ასაკისათვის", — ამბობდა მაკარენკო. მომავალი თაობის აღზრდაში დედის როლის გადამწყვეტ მნიშვნელობას აღიარებდა დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელიც.

ბავშვის აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა. ამიტომ არის, რომ ბავშვთა აღზრდის საქმეში, ბაგა-ბაღებისა და სკოლების გარდა, ჩაბმულია პიონერთა სასახლეები, საბავშვო თეატრები, ამ მიზანს ემსახურება საბავშვო კინოფილმები და სპეციალური სატელევიზიო და რადიოგადაცემები. ყველა ჩამოთვლილ დაწესებულებას თავის მიზანდასახულებად მიაჩნია ჩაუნერგოს ბავშვს კეთილშობილება, შრომის სიყვარული, სამართლიანობა, სიცოცხლის ხალისი და სხვა; მისცეს ყველაფერი, რაც ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის არის საჭირო. აი, დედა შვილისათვის არაფერს იშურებს, დღე და ღამე ძილი არა აქვს, ზედ დაჰკანკალებს, ეფერება, აჭმევს, უვლის თვალის ჩინივით, უკანასკნელ კაპიკს არ იშურებს მისი სიამოვნებისათვის, უკითხავს მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს, მაგრამ შვილი მაინც არ არის ისეთი, როგორიც მას უნდა. რაშია საქმე? საიდან განვითარდა ბავშვში მავნე, უარყოფითი თვისებები? თურმე ოჯახიდან, ოჯახის წევრთა არაჯანსაღი დამოკიდებულებიდან.

ამ წერილში ჩვენ რძლისა და ოჯახის სხვა წევრთა ურთიერთობაზე გვექნება ლაპარაკი.

რას ნიშნავს „კარგი რძლობა" ეს თეორიულად ყველა ქალს მშვენივრად ესმის. მან იცის, რომ არა აქვს უფლება დაამციროს, ცუდად მოექცეს ქმრის ნათესავებს, წააქეზოს ქმარი მშობლებისა და ნათესავების წინააღმდეგ. ისიც იცის, რომ მას თვითონ ამგვარი საქციელისათვის საზოგადოება გაკიცხავს, ქმარს კი ავტორიტეტი შეელახება. სამწუხაროდ, ბევრი ქალისათვის თეორია თეორიადვე რჩება და პირად ცხოვრებაში ყველაფერს უკუღმა აკეთებს.

ერთად ცხოვრების პირობებში რძალსა და ოჯახის სხვა წევრთა შორის ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს უსიამოვნების მიზეზი. კარგი რძალი სწრაფად ამოავსებს ამ ხარვეზს და, თუ ბუნებით ღვარძლიანი არ არის, ადვილად დაამყარებს კეთილ ურთიერთობას ქმრის ნათესავებთან. ცხადია, ჩვენ არ ვლაპარაკობთ ისეთ შემთხვევებზე, როცა თვითონ დედამთილი ან მულია ისეთი ქვეყნის დამქცევი, რომ არავითარი მასთან კონტაქტის დამყარება არ შეიძლება, მაგრამ ასეთი პათოლოგიური პიროვნებები ხომ არც ისე მრავლად არიან და ჩვენ ისინი არც გვყავს მხედველობაში.

თუ ქალი ავადმყოფურად არ განიცდის ყოველ წვრილმანს, ის მოახერხებს ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს ქმრის ნათესავებთან, შეძლებს ოჯახური სიმყუდროვის შექმნას, რაც ასე აუცილებელია ბავშვის აღზრდისათვის. აბა, რა სულიერი საზრდო შეიძლება მიიღოს ბავშვმა იმ ოჯახში, სადაც დღენიადაგ ჩხუბი და არეულობაა?

არის რძლების მეორე კატეგორიაც და ასეთ რძალს — დედას არანაკლებ შეუძლია ბავშვის ზნეობრივი დამახინჯება. ის ქმრის ნათესავებს პირში ეფერება, გულუხვად უმასპინძლდება, მაგრამ მიუხურავს თუ არა კარს, ორივე ხელით ქოქოლას აყრის. აი მაგალითიც:

თ-ს მული ესტუმრა ქმარ-შვილით. რძალმა აღტაცებით მიიღო სტუმრები, ხვავიანი სუფრა გაუშალა და „მოილხინა".

თ-ს ძალიან უნდოდა, რომ ქმარს მოესწრო და დაენახა, როგორი პატივი სცა მისიანებს, მაგრამ მეუღლემ დაიგვიანა, სტუმრები კი იმავე საღამოს უნდა დაბრუნებულიყვნენ შინ და ადრიანად დაემშვიდობნენ მასპინძელს.

თ-მ, კარი მიიხურა თუ არა, შვილს მიუალერსა: „მოგიკვდეს დედა, კამფეტი არ მოგიტანეს? აჰა, მე მოგცემ, რად გინდა მამიდაშენის მოტანილი! მაგათ დაეწვათ ის ქონება, რომ არავისათვის არაფერი ემეტებათ. მოვლენ დამშეულები და აჭამე! ჭამა ჯანდაბას, თანაც უნდა გაატანო. მადლობა ღმერთს, რომ შენი ჯადო ბებია აქ არ იყო, თორემ ამ ჩურჩხელებს და ყურძენს სულ თან გაატანდა. ბებიაშენი თუ შეგეკითხა, უთხარი, დედიკომ ბევრი რაღაცეები გაატანა-თქო, გაიგე?!"

ბიჭი გაოგნებული მისჩერებია დედას. იქმნება, რთული, გაურკვეველი სიტუაცია. დედა ხომ ეფერებოდა პირში მამიდას, მაშ ზურგსუკან რატომ სწყევლის?

ბავშვი თავისთვის ახალ რაღაცას ამჩნევს ადამიანების ურთიერთობაში. თურმე შეიძლება ადამიანს პირში ეფერო და ზურგსუკან აგინო და სწყევლო. აი, სად იღებს საწყისს ბავშვის ხასიათში ორპირობა, ფარისევლობა...

გასულ წელს, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტიდან მივლინებული ვიყავი გორის რაიონის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. როდესაც ერთ ბაღში ბავშვებს ივანე ცისკრის ზღაპარი წავუკითხე, ასეთი კითხვა დავსვი:

— ბავშვებო, რა მოგეწონათ ყველაზე ძალიან ამ ზღაპარში?

საბავშვო ბაღის აღსაზრდელი მპასუხობს:

— მე მომეწონა დევმა რომ ქალები მოიტაცა.

— რატომ მაინცდამაინც ეს ადგილი მოგეწონა?

— გამეხარდა.

— რატომ გაგეხარდა?

— იმიტომ, რომ ქალები მცემენ.

— ვინ ქალები გცემენ?

— ვინ და დედა.

— რაზე გცემს ხოლმე დედა? აი, გუშინ რაზე გცემა?

— ლია მამიდამ სათამაშოები მომიტანა და რად გამოართვიო!

5 წლისა და 7 თვის ბავშვის ასეთი ანტაგონიზმი ქალებისადმი ისეთი ოჯახური გარემოს ანარეკლია, სადაც არც სიყვარულია და არც პატივისცემა. განა ვერ უნდა მიხვდეს ქალი, რომ მისი საქციელი უარყოფითად მოქმედებს მშობლის ავტორიტეტზე? ბავშვი ხომ ხვდება, რომ დედა უსამართლოდ ექცევა მამის ნათესავებს. ცნობილია, რომ არავინ არ განიცდის უსამართლობას ისე მწვავედ, როგორც ბავშვი. ჰოდა, მას განწყობა ეცვლება დედის მიმართ. ხშირად უბედავს სიტყვის შებრუნებას, სამართლიან შენიშვნებს აძლევს.

მაგალითად, პატარა აჩიკოს ბიძამ ავტოკალამი აჩუქა. დედამ დაარიგა, მამისათვის არაფერი ეთქვა საჩუქრის შესახებ. აჩიკომ უყვირა დედას:

— ვეტყვი, დიახ, ვეტყვი მამას, რომ ბიძამ მაჩუქა ეს კალამი. თუ კი დეიდას მოტანილს არ მალავ? შენ ხომ მეუბნები, ყოველთვის მართალი ილაპარაკეო. მამას ტყუილი ვუთხრა?

— კარგი, ნუ გამიწყალე გული, რაც გინდა ის ჰქენი, — მიუგო დედამ.

დედის ასეთი უტაქტობა დამღუპველია ბავშვისათვის. იგი სიცრუისაკენ უბიძგებს მას და თუ ეს სენი ერთხელ ჩაუჯდა მოზარდს, მერე ძნელი მოსარჩენი ხდება.

თათია და დედამისი ვენახში იყვნენ. უცბად კოკისპირული წვიმა წამოვიდა. თათია დედას შეეხვეწა:

— დედიკო, აქ ნუ გავჩერდებით, რა! მამიდამ ხომ მითხრა — ჭექა-ქუხილის დროს მეხი ყველაზე მაღალ ხეს ეცემაო.

დედას გული მოუვიდა:

— წამოეთრიე! მამიდაშენის დასარიგებული რა გვჭირს! მეხი ამ ხეს კი არა, მამიდაშენს უნდა დაეცეს. ოი, რას მოვისვენებდი?!

ბავშვი გაოცებული შეჰყურებდა დედას.

— დედიკო, ტყუილია?

— აბა, აფერისტი მამიდაშენი როდის ამბობდა სიმართლეს.

— დედიკო ყველაზე მაღალ ხეს არ ეცემა მეხი? — შეცვლილი ხმით შეუბრუნა კითხვა.

— არა! გაიგე, თუ არა! წამოეთრიე, თუ მოდიხარ, და ნუ მიმეორებ მამიდაშენის სიტყვებს. ის რომ კარგი ქალი იყოს, აქამდე გათხოვდებოდა და ოჯახი ექნებოდა.

ასეთ დედებს სხვა სიგლახესთან ერთად ბავშვის სალაპარაკო ლექსიკონში შეაქვთ სალანძღავ-საგინებელი სიტყვები, მომავალ მოქალაქეს უმახინჯებენ მეტყველებას. ეს ნაკლი კი შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე თან გასდევს ადამიანს.

ზაზას მამიდა დილით ადრე გადიოდა სახლიდან, ერთ დილას ბავშვს თავზე დაადგა ლოგინში და უთხრა:

— ზაზა, დღეს ხომ დასვენების დღეა, შენ სკოლაში არ მიდიხარ, აიღე ეს წიგნი, წაიკითხე და დაწერე — რა მოგეწონა და რატომ? რა არ მოგეწონა, ისიც დამიწერე.

ზაზას გაეხარდა, მამიდას წიგნი ჩამოართვა.

— კარგი, მამიდა, სანამ შენ დაბრუნდები, მე წავიკითხავ და დავწერ.

დედა რაღაცას აუთოვებდა. ვეღარ მოითმინა, თვალები დაუბრიალა შვილს და უყვირა:

— აეთრიე ზევით, წიგნს მოგცემ მე შენ! შენს საქმეს მიხედე! მამიდაშენს არავინ ჰკითხავს შენ რას გააკეთებ. როცა თვითონ ეყოლება შვილები, იმათ მოუაროს. გააწყალა გული, ასე დაწერე, ისე დახატე... გაბდა ეგეც ჩემი მბრძანებელი.

ზაზას მამიდა ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. დედამ დააჩქუთქა უთო, ზაზას წიგნი გამოსტაცა ხელიდან და მამიდის სამუშაო მაგიდაზე ისროლა. მერე შვილი სამზარეულოში გაიყვანა და მუჯლუგუნით დასვა სკამზე. ზაზა აცრემლებული თვალებით შეჰყურებდა დედას და გაიძახოდა: „წავიკითხავ, აბა ნახე, თუ არ წავიკითხო!“

რატომ გაანერვიულა დედამ შვილი? რატომ ჩაუკლა დავალების შესრულების სურვილი? მხოლოდ და მხოლოდ თავისი პირადი განწყობილების გამო. მოზარდებზე დამღუპველად მოქმედებს ამგვარი მეთოდები. ოჯახური უსიამოვნებანი ბავშვში ღრმა ფსიქოლოგიურ განცდას და გაორებას იწვევს და მან აღარ იცის, ვის დაუჯეროს.

მშობლის ალერსიანი და სათუთი დამოკიდებულება ბავშვისადმი საკმარისი არ არის. მთავარია ოჯახის წევრთა ნორმალური ურთიერთობა, ერთმანეთთან კულტურული დამოკიდებულება. მხოლოდ მყუდრო, ბედნიერ ოჯახში შეიძლება ბავშვმა თავი ბედნიერად იგრძნოს. და არავის, მითუმეტეს დედას, არა აქვს უფლება, პატარას ბედნიერი ბავშვობა წაართვას.

**მარიამ გოგიჩაიშვილი**



**განყოფილებას ხელმძღვანელობს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ი რ ა კ ლ ი ფ ა ღ ა ვ ა.**

# ქრონიკული ტონზილიტი და მისი მკურნალობა

ქრონიკული ტონზილიტი, ანუ სასის ნუშების ქრონიკული ანთება საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა. ამ დაავადებას ძირითადად ხშირ ანგინას უკავშირებენ.

ანგინა მწვავე ინფექციური დაავადებაა, მაგრამ დაავადება რომ განვითარდეს, საკმარისი არ არის ინფექციის არსებობა. არის მთელი რიგი პირობა, რომელიც ხელს უწყობს ანგინის განვითარებას. ასეთია მაგალითად, სახის, პირისა და სასის ტონზილების თერმული (ცივი, ცხელი), ქიმიური (სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა მტვერი, ორთქლი) და მექანიკური (ტრავმა, მტვერი, უცხო სხეულები) გაღიზიანება ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის დაქვეითების პირობებში (გაცივება, გადატანილი ინფექციური დაავადებანი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ვიტამინების ნაკლებობა და სხვა), თუ აღნიშნული ფაქტორების მოქმედება გრძელდება, მაშინ ადამიანს ანგინა ხშირად ემართება (ყოველწლიურად ან წელიწადში რამოდენიმეჯერ), რაც საბოლოოდ განაპირობებს დაავადების გადასვლას ქრონიკულ ფორმაში. ქრონიკული ტონზილიტი ზოგჯერ შეიძლება განვითარდეს წინამორბედი ანგინების გარეშეც.

ქრონიკული ტონზილიტის დროს ავადმყოფს აწუხებს უსიამოვნო შეგრძნება ყელში და კისრის მიდამოში ყლაპვისას და თავის მოძრაობის დროს, ზოგჯერ — „ჩხვლეტა“ ყელში, რომელიც ყურს გადაეცემა. ხშირად ავადმყოფი გამოსცემს უსიამოვნო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნს პირიდან, რაც გამოწვეულია დაავადებული სასის ნუშების ლაკუნებში (ღრუებში, ჯიბეებში) არსებული შიგთავსის (ჩამოფცქვნილი ეპითელური უჯრედები, მკვდარი მიკრობები, სისხლის ფორმიანი ელემენტები) ხრწნით. გარდა ამისა, ადგილი აქვს ქვედაყბისა და კისრის ლიმფური კვანძების გადიდებას და ზოგჯერ მტკივნეულობასაც.

არჩევენ ქრონიკული ტონზილიტის სამ ფორმას: მარტივს, ტოქსიკო-ალერგიულს და შეუღლებულს ორგანიზმის სხვა დაავადებებთან.

მარტივი ქრონიკული ტონზილიტისათვის ნიშანდობლივია დაავადების სიმპტომების ადგილობრივი გამოვლინება (უსიამოვნო შეგრძნებანი ყელში, ცუდი სუნი პირიდან, ხშირი ანგინა და სხვა). უფრო ძლიერი ავადმყოფური მოვლენები კი მხოლოდ ქრონიკული ტონზილიტის გამწვავებისას აღინიშნება.

ტოქსიკო-ალერგიული ქრონიკული ტონზილიტი ორგანიზმის დაცვითი და შეგუებითი მექანიზმების დარღვევის შემთხვევაში ვითარდება. ადგილობრივი ავადმყოფური გამოვლინებანი ამ ფორმის დროს თანდართულია ზოგადი ავადმყოფური მოვლენებით, რომლებიც გამოწვეულია ტოქსინების (მიკრობთა შხამიანი პროდუქტების), აგრეთვე ანთებადი ქსოვილების ნივთიერებათა ცვლისა და დაშლის პროდუქტების შეწოვით.

ავადმყოფს აწუხებს ზოგადი სისუსტე, დამტვრეულობა, კიდურებისა და სახსრების ტკივილი, აგრეთვე წელის მიდამოში ტკივილი, ტემპერატურის მცირედი მომატება, შრომის უნარის დაქვეითება და ფუნქციური ძვრები გულის მხრივ (გულის ფრიალი, ჩხვლეტა და უსიამოვნო შეგრძნებანი გულის მიდამოში); არაიშვიათად აღინიშნება ცვლილებები სისხლში (ერითროციტების დალექვის რეაქციის აჩქარება, ლეიკოციტების მომატება და სხვა). როდესაც ზოგადი მოვლენები არამუდმივია ან მსუბუქად არის გამოხატული, ლაპარაკობენ პირველი ხარისხის ქრონიკულ ტოქსიკო-ალერგიულ ტონზილიტზე, ხოლო თუ მუდმივია და მკვეთრი, მაშინ დაავადება უკვე მეორე ხარისხისაა.

ქრონიკული ტონზილიტის მესამე ფორმასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც სასის ნუშების ქრონიკული ანთება შეუღლებულია სხვა დაავადებებთან, როგორიცაა მაგალითად, რევმატიზმი, სახსრების ინფექციური არასპეციფიკური ანთება, თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის ანთება, აპენდიციტი, ტოქსიკური ჩიყვი და სხვ. ასეთ შემთხვევებში ჩვენ საქმე გვაქვს ორგანიზმის ისეთ პათოლოგიურ მდგომარეობასთან, როდესაც ქრონიკულ ტონზილიტსა და აღნიშნულ დაავადებებს შორის მყარდება გარკვეული კავშირი. კერძოდ, ქრონიკული ტონზილიტი უარყოფით გავლენას ახდენს ამ დაავადებათა მიმდინარეობაზე და ამცირებს მკურნალობის ეფექტურობას. თავის მხრივ აღნიშნული დაავადებები კი აუარესებენ ქრონიკული ტონზილიტის მიმდინარეობას.

როგორია ქრონიკული ტონზილიტის მკურნალობა?

მარტივი ქრონიკული ტონზილიტის, აგრეთვე პირველი ხარისხის ტოქსიკო-ალერგიული ქრონიკული ტონზილიტის დროს უნდა ჩატარდეს სასის ნუშების ადგილობრივი და ზოგადი მკურნალობა. ადგილობრივი საშუალებებიდან მიმართავენ სასის გამორეცხვას ანტიბაქტერიული ხსნარებით (ფორმალინით, ფურაცილინით, ანტიბიოტიკებით), ზოგადი საშუალებებიდან ავადმყოფს აძლევენ: მერიფიტს, იოდინოლს, ანტიალერგიულ და ისეთ პრეპარატებს, რომლებიც ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას აძლიერებს. ფართოდ იხმარება აგრეთვე ფიზიოთერაპიული საშუალებები — ულტრაიისფერი სხივები (კვარცი), ულტრამაღალი სიხშირის ელექტრობა („УВЧ“) და, უკანასკნელ ხანებში, ულტრაბგერითი ტალღები, რომლებიც დადებითად მოქმედებენ როგორც უშუალოდ სასის ნუშებზე ისე მთელ ორგანიზმზე. თუ კონსერვატული მკურნალობა არაეფექტურია, მიმართავენ ოპერაციას.

მეორე ხარისხის ტოქსიკო-ალერგიული ქრონიკული ტონზილიტისა და აგრეთვე სხვა დაავადებებთან შეუღლებული ქრონიკული ტონზილიტის დროს საჭიროა გაკეთდეს ოპერაცია — სასის ნუშების მთლიანი ამოკვეთა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ სასის ნუშების ისეთ დაავადებაზე, რომელიც გამოიხატება მათი მოცულობის გადიდებით. ლაპარაკია სასის ნუშების ისეთ გადიდებაზე, რომელიც დაკავშირებულია არა ანთებით პროცესთან, არამედ მისი მუშა ელემენტების — ლიმფოიდური ფოლიკულების გამრავლების შედეგია. სასის ნუშების ასეთმა არაანთებითმა გადიდებამ შეიძლება ისეთ ფარგლებს მიაღწიოს, რომ მექანიკური დაბრკოლება შეიქმნას ყლაპვის, სუნთქვის და მეტყველების დროს. ასეთი მდგომარეობა, როგორც წესი, გვხვდება ბავშვებში, რომელთა ტონზილების აქტივობა მოზრდილებთან შედარებით მაღალია. ამ დროს კეთდება ე. წ. ტონზილოტომია; სასის ნუშების დარჩენილი ნაწილი კი აგრძელებს თავის ფუნქციას.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასის ნუშები, ისევე როგორც ხახის მთელი ტონზილური (ლიმფოიდური) სისტემა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვის ორგანიზმის ცხოველმყოფელობაში (მათ აქვთ დაცვითი, ანუ ბარიერული და სისხლმბადი ფუნქცია), ამიტომ ტონზილიტი მოითხოვს ფართო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას. რაც შეეხება სასის ნუშების მთლიან ამოკვეთას, ის უნდა ჩატარდეს სათანადო სიფრთხილით, ქირურგიული ჩვენებების ზუსტი დაცვით.

**თამაზ თოხაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

# როგორ დავიჭიროთ თავი

## ვინ უნდა მიესალმოს პირველად

როდესაც შეხვდებით ნაცნობს, ან ისეთ ადამიანს, რომელთანაც გამოლაპარაკება გსურთ, აუცილებლად მიესალმეთ. ქუჩაში უნდა მიესალმოთ არა მარტო ისეთ ნაცნობებს, რომლებიც გაგაცნეს, არამედ იმათაც, რომელნიც თქვენს მეზობლად ცხოვრობენ, დადიან იმავე გზით, რომლითაც თქვენ დადიხართ, სარგებლობენ იმავე ტრანსპორტით, რომლითაც თქვენ სარგებლობთ, მიესალმებით აგრეთვე იმათაც, რომელთაც თქვენ გაუწიეთ რაიმე სამსახური, ან პირიქით.

როგორც წესი, პირველად მამაკაცი ესალმება ქალს, ასაკით უმცროსი — უფროსს, ხელქვეითი — უფროსს, გოგონა ან ახალგაზრდა ქალი — ხანშიშესულ მამაკაცს.

მამაკაცი, რომელიც ქუჩაში მიდის სხვასთან ერთად, უნდა მიესალმოს იმას, ვინც მიესალმება მის თანამგზავრს, მიუხედავად იმისა, იცნობს თუ არა მას. ქალი კი მხოლოდ მისალმებაზე პასუხობს.

მიღებულია, რომ ქალმა პირველმა გაუწოდოს ხელი მამაკაცს, უფროსმა — უმცროსს, ხელმძღვანელმა — ხელქვეითს; სავალდებულო არ არის ეს წესი დაიცვან მოხუცებმა და ნათესავებმა.

უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავაგდოთ ნაცნობი, საჭირო არ არის მისი ხელი დიდხანს გვეჭიროს ხელში. მიღებული არ არის აგრეთვე ჩამორთმეული მარჯვენა ხელის დაფარვა მარცხენათი.

თუ მამაკაცები ესალმებიან ერთმანეთს, ორთავემ ხელთათმანიანი ხელი უნდა გაუწოდონ ერთმანეთს, ან ორივემ გაიხადოს. ქალი მამაკაცთან ხელის ჩამორთმევისას ხელთათმანს არ იხდის, კაცი კი ვალდებულია გაიძროს ხელთათმანი.

მისალმებისა და ხელის ჩამორთმევისას ქალი შეიძლება იჯდეს, მამაკაცი კი აუცილებლად უნდა ადგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქუჩაში...

ვიდრე სახლიდან გამოხვალთ, შეამოწმეთ წესრიგში გაქვთ თუ არა ყველაფერი, დაწყებული ვარცხნილობიდან, დამთავრებული ფეხსაცმლით. არ შეიძლება ქუჩაში გამოსვლა დაჭმუჭნული და ჭუჭყიანი ტანსაცმლით, დასვრილი ფეხსაცმლით.

გარეგნობასა და ქცევაზე განსაკუთრებით უნდა ზრუნავდნენ ქალები და ქალიშვილები. დაუშვებელია ქუჩაში ტუჩების შეღებვა, პუდრის წასმა, თმის დავარცხნა, წინდების გასწორება და სხვ. სამარცხვინოა დილით მეზობელ მაღაზიაში საყიდლებზე გასვლა ხალათით და ფოსტლებით.

ქუჩაში უნდა იაროთ გამართულად, ზომიერი ნაბიჯებით. ნაბიჯები შეუფარდეთ თქვენს სიმაღლეს. სიარული მაშინ არის ლამაზი, როდესაც ის თანაბარია. თუ თქვენ გეჩქარებათ, ადამიანებს, რომლებიც გიშლიან, შემდეგი სიტყვებით უნდა მიმართოთ: „ნება მომეცით გავიარო", ან „გამატარეთ, გეთაყვა". მოწონებას იმსახურებს ის მამაკაცი, რომელიც ეხმარება ქალს პაკეტის ან მძიმე ჩანთის წაღებაში, მაგრამ ქალის ხელჩანთა თვითონ ქალმა უნდა ატაროს. როდესაც ვინმეს გვერდით მიდიხართ, პაკეტი ან სხვა ნივთები ისე უნდა დაიჭიროთ, რომ თანამგზავრს ხელი არ შეუშალოთ.

რაც შეეხება ქუჩაში შემხვედრ ნაცნობთან საუბარს, მიღებულია, რომ პირველად ქალმა მიმართოს მამაკაცს, უფროსმა — უმცროსს. თუ ქალი, რომელიც მამაკაცის თანხლებით მიდის, მოინდომებს რამდენიმე სიტყვა უთხრას შემხვედრ ნაცნობს, თანმხლებთან ბოდიში უნდა მოიხადოს, მან კი რამდენიმე ნაბიჯით უკან უნდა დაიწიოს, რომ არ ესმოდეს მათი საუბარი.

ქუჩაში მამაკაცი ქალს ყოველთვის მარცხენა მხარეს უნდა გაყვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას მოითხოვს ქალის უსაფრთხოება.

ქალებს, მოხუც მამაკაცებს, ავადმყოფებს და ინვალიდებს დაუთმეთ გზა, ნუ დაელოდებით, სანამ ისინი განზე გადგებიან. ახალგაზრდები ვალდებული არიან დაეხმარონ ავადმყოფებს, უსინათლოებს, მოხუცებს, ინვალიდებს, ბავშვებს, გადაიყვანონ ქუჩაზე ან გზაჯვარედინზე, უსაფრთხო ადგილას.

ქუჩაში ხმამაღლა სიცილი, სტვენა, სიმღერა უზრდელობაა, ღამით კი — არამცთუ უზრდელობა, დაუშვებელია.

არ უნდა დავდოთ მსჯავრი მას, ვინც სარგებლობს თავისუფალი წუთით და კითხულობს მატარებელში ან ტრამვაიში, მაგრამ სასაცილოდ გამოიყურება ის კაცი, რომელიც კითხულობს სიარულის დროს. თუ თქვენ გინდათ გაზეთის დათვალიერება, მიდექით გვერდზე, სახლის კედელთან. რეკომენდებული არ არის გაზეთის გაშლა სიარულის დროს.

# მათთვის, ვინც მინდვრად მუშაობს

გაზაფხულობით და ზაფხულში ღია ცის ქვეშ მომუშავე ქალებს მზისგან სახეზე, მკლავებზე და ყელზე ხშირად ჭორფლი ან მოყავისფერო პიგმენტური ლაქები უჩნდებათ. ჰოდა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ამგვარი ლაქა ქალს სულაც არ ამშვენებს.

როგორ ავიცილოთ ლაქების გაჩენა?

მოდით და ჩვენი დიდედების ჩვეულება გავიხსენოთ — ისინი ხომ მინდორში თავდაუხურავად ან უთავსაფროდ არასგზით არ გავიდოდნენ. თავსაფარი შუბლსა და ყბებზე ღრმად ჰქონდათ წამოხურული.

კარგი იქნება, თუ ჩვენი დიდედების სხვა გამოცდილებითაც ვისარგებლებთ — ძილის წინ სახეზე მაწონს გადავისვამთ და ოციოდე წუთის შემდეგ გრილი წყლით ჩამოვიბანთ. მართალია, ჩვენი დიდედების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კოსმეტოლოგიაში დიდი აღმოჩენებიც მოხდა, მაგრამ, დამერწმუნეთ, მზით გარუჯული კანის გასათეთრებლად, ამ ძველთაძველ საშუალებას არაფერი შეედრება.

მზისგან დამცველი კრემი ყოველგვარ სახეს უხდება. ეს კრემები მრავალი სახისა არსებობს და საპარფიუმერიო მაღაზიებში იყიდება. კარში გამოსვლამდე სუფთა სახეზე წაისვით კრემის თხელი ფენა, შემდეგ კი პუდრი გადაისვით.

ცხიმიან კანს ძალიან უხდება ლიმონის წვენი (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე). ესეც დიდებული გამათეთრებელი საშუალებაა, მაგრამ მისი წამდაუწუმ ხმარება არ შეიძლება. კვირაში ერთხელ, დაბანილ სახეზე თხლად წაისვით მკვებავი კრემი, შემდეგ კი ბამბის ტამპონით გადაისვით ლიმონის წვენი (ქუთუთოებსა და თვალის უპეებს არ უნდა მოხვდეს!). თუ ამ დროს კანი აგექავათ და გაგიწითლდათ, ლიმონის წვენში ცოტაოდენი სოდა ჩაუმატეთ. თუ ქავილმა არც ახლა გაგიარათ, ჩამოიბანეთ ლიმონის წვენი ძმარში დასველებული ტამპონით. სხვათა შორის, სახეს ძმარიც ათეთრებს. საკმარისია, დღეში რამდენჯერმე გადაისვათ ძმარწყალში დასველებული ბამბა, რომ რამდენიმე კვირაში გარუჯული კანი დაგისუფთავდებათ. აბა, სცადეთ და იხმარეთ ასეთი ნარევი: 10 გრ ძმარი, 5 გრ ლიმონის წვენი, 5 გრ წყალი.

ჭორფლის მოსაცილებლად ასეთ ხსნარს ამზადებენ: 10 გრ პერეგიდროლი, 10 გრ გლიცერინი, 20 გრ სპირტი და 80 გრ წყალი; ან 5 გრ პერეგიდროლი და 10 გრ სპირტი. რომელიმე ამ ნარევით დღეში რამდენჯერმე გაიწმინდეთ ჭორფლიანი ან ლაქებიანი კანი. ამ დროს ეცადეთ არ შეეხოთ წარბებს, წამწამებს, თმას, თორემ გაგიხუნდებათ.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, საღამოს წაისვით „მეტამორფოზა", „ჩისტოტელი" ან „ვესენნი", ეს კრემები კანს ათეთრებს, ქერცლავს და სპობს ჭორფლსა და პიგმენტურ ლაქებს. ღამით წასასმელად კი კარგია კრემები „მელანი" და „ახრომინი".

ექიმი-კოსმეტოლოგი
ზ. სიმონოვა

# პატარებისთვის

გიორგი მეტრეველი

## ბებო

ბაღში თოვლი აღარ დევს,
აყვავილდნენ ატმები,
ბებო, გარეთ გამოდი,
მზის სხივებით გათბები.

## ინდი-მინდი

ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
მერცხალივით შემოფრინდი.
მოვცქრიალდი ნაკადული,
მოვიყვანე გაზაფხული.

## „დედაენა“

„დედაენა“ მიყიდა
საყვარელმა დეიდამ.
კითხვა უნდა ვისწავლოთ
მე და ბებომ დღეიდან.

## ბელი

აბლი-ბაბლი, აბლი-ბაბლი,
მოაგროვა ბელმა წაბლი,
მოიკიდა ზურგზე გუდა
და შინისკენ გამობრუნდა.

ვენერა ჩარკვიანი

## ბიჭები

დაიმკლავეს სახელო,
კუნთი გამოიჩინეს,
წაიგრძელეს კისრები,
დაემსგავსნენ ყვინჩილებს.
მიაბჯინეს მკერდი მკერდს,
მუხლი გააფიჩინეს.
ხან დაქოჩრეს ერთურთი,
ხან კი შეუხიცინეს.
გადაგორდნენ მდელოზე,
იცინეს და იცინეს.

ფიქრია ქაჩლიშვილი

## ბუკე-ბუკე

გაიბუტა ნანა,
საჭმელი არ ჭამა.
წინ დაუდგეს წვენი,
და შეპყურებს წყენით.
„ეს რა ცოტა წვენიაო“.
— თურმე ეს არ სწყენიაო?
ბებომ წვენი დაუმატა.
და შიგ პური ჩაუმატა.
ვერ მოასწრო ხელის ბანა —
პურმა წვენი შეუჭამა.
ალრიალდა ჩვენი ნანა:
— პურმა წვენი შემიჭამა...

ეზია მგალობლიშვილი

## მკურნალი

ხმა დაირხა ველად:
სიცხე აქვსო სამყურას.
დაფაცურდნენ ხელად, —
ვინ შეძლებსო განკურნვას?
მოარჩინა სამყურა,
თუ მიხვდებით ვინა? —
გულს რომ ნამი აპკურა
თვალჟუჟუნა წვიმამ.

## ვინ იყო?

ეკითხება დედიკოს
პაწაწინა თინიკო:
შენ რომ იყავ პატარა,
ჩემი დედა ვინ იყო?

## ენისგასატეხი

ტატას ტიკტიკა ტიკინამ
ტიკტიკით ენა იტკინა.

## ბაჭიების სიმღერა

ვარაიდა, ვარადა,
მგელი თხრილში ჩავარდა,
გაუთენდა შავადა,
ჩვენდა გასახარადა!

ლია ტაბიძე

## ჩემი სოფელი

ქვემოთ ხევი, ზემოთ მთები,
აქეთ მდელო, იქით ყანა,
ქაფიანი ჩანჩქერები,
ყვავილები პირღაღანა.
მოქარგული ბაღ-მინდვრები,
არ მინახავს ამისთანა,
ნეტავ სულ აქ დამასახლა,
ქალაქს აღარ წამიყვანა!

## ჩემი ქოლგა

ჩემი ქოლგა ლამაზია,
ჭრელი როგორც ზღაპარია,
როცა ციდან წვიმა მოდის,
თავზე კოხტად მაფარია.
ჩვენ წვიმის ქვეშ დავსეირნობთ,
ის სველდება, მე კი არა.
მეგობრობა დიდი იცის,
თუმცა არის სულ პატარა.

ნინო მესხიშვილი

## მე შენთან რა მათამაშებს

მე შენთან რა მათამაშებს,
ისე ძუნწი ხარ, ხარბი ხარ:
შენ ცხენს თუ გავეთამაშე —
ხელსა სტაცებ და გარბიხარ.

ГАРЕКАНИС: გარეკანის პირველ გვერდზე — ელენე ახვლედიანის პორტრეტი, მეოთხე გვერდზე — ფოტოები დ. იაკობაშვილისა.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის —93-98-54. გადაეცა ასაწყობად 18/V-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VI-71 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 123.260. შეკვ. 1918. უე 02084. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი



— რას შვრება, კაცო, ეს ქალი, უკან ყრის ნაგავს?
— რა ვიცი, ძმაო, პომადა გადავაყოლეო...



უსიტყვოდ

ამირან ერაძის იუმორი

ИНДЕКС 76178

ეროვნული
ბიბლიოთეკა

